მარინა ლონღაძე

მე შენ გიპოვე...

მარინა ღონღაძე

ლექსები და ჩანაწერები

მე შენ გიპოვე

თბილისი, 2019

კორექტორი :
კლარა გელაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე ნახატის ავტორი :
ნუგზარ ლაცაბიძე

დიზაინერი :
ლაშა ხურციძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა :
ლაშა ხურციძე

გამომცემლობა :
დიზაინ სტუდიო
მისამართი : ქ.თბილისი , რობაქიძის 7/4

თბილისი, 2019

წინასიტყვაობა

„მე შენ გიპოვე“ მარინა ღონღაძის კიდევ ერთი პოეტური კრებულია, რომელიც მისი ფაქიზი სულის ანაბეჭდებითაა გაჯერებული. ავტორი ლექსების მსგავსად მოკრძალებით, თავმდაბლობით, გულწრფელობით და უბრალოებით გხიბლავს. ხშირად ისეთ ამაღლებულ განცდებზე გაფიქრებს, შენს სულზეც წვიმასავით რომ დაუნამავს, მაგრამ შეგშრობია და აორთქლებულა...

ლექსი-ემოცია. ასე შეიძლება უწოდო მის ყოველ სტრიქონს, რადგან აშკარად იგრძნობა, რომ თანხვედრილია დრო აღქმისა, განცდისა და ფურცელზე დატანისა.

იმერეთის საუცხოო სურნელი იფრქვევა მისი სტრიქონებიდან და გრძნობ, სიყვარულის უზარმაზარ კალათში, იმ კუთხის შვილთათვის დამახასიათებელი ჩვეული სისხარტით, როგორ აწყობს სულის ნობათს, ჩვენთვის მოსართმევს...

ამ კალათიდან ნაწილ-ნაწილ ამომაქვს პატარ-პატარა ბარათები სულის სალბუნად:

“შემომხედავთ და სიყვარულის სხივებს დამაფენთ
მერე მეორე შეხვედრამდე არ მავიწყდება!...”

თითქოსდა, ეს უბრალოდ ნათქვამი სიტყვები, იმ თბილ ღიმილზე გვაფიქრებს, რომელიც, კარგად ვიცით, რომ „უფასოა, მაგრამ ძვირი ღირს!“

უსაზღვროა ზღაპრულ წიაღში გაზრდილი ქალის ბუნებისადმი ლტოლვა:

“შემაერთა, ნეტავ, ყაყაჩოთა ღელვას,
ან მის წითელ ზღვაში, გამიტაცოს ცხენმა!”

ავტორის ცხოვრების წესი და მისი სულიერი სამყარო უფალთან მისი სიახლოვის დადასტურებაა.

- **მე შენ გიპოვე!** - გაოცებით და აღტაცებით მიმართავს უფალს, რომელიც ტაძარში მდგომმა, საუკუთარ გულში სიყვარულად გაბატონებული აღმოაჩინა.

მისი ფაქიზი სული ვერ ეგუება მეწვრილმანე, უსამშობლო, ნიღაბმორგებულ სახეებს. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანური ღირებულებებია:

„რაც“- რომ ჰქვია, არასდროს გავეტირები
მთავარია, „ვინც“- რომ ჰქვია, არ დავკარგო!“

ზოგჯერ, ავტორის ბავშვური, მიამიტური ემოცია გაფიქრებინებს, რომ ეს სიფრიფანა სული, სულაც არ ჰგავს ცხოვრების ქარ - ცეცხლში გამობრძმედილი ქალის ბუნებას. აკი, თვითონვე ამბობს: **“არა , მართლა ბავშვობაში ჩავრჩი!...”**

ბავშვობიდან მოსდევს მამის სიტყვებიც - **„გული ადამიანის პატარა საიდუმლო ოთახია, სადაც ყველაფერია, რაც კი გჭირდება!“**

ჰოდა, ეს წიგნიც მარინა ღონღაძის გულია. ბუნებრივი, გულწრფელი, მღელვარე და გასაფრთხილებელი, რადგან დღეს, აღმოჩენა, ლექსი კი არა, ადამიანია - სამშობლოს ბედ-იღბალზე, მოყვასზე, ტკივილიანი სიყვარულით ამღერებული...

კლარა გელაშვილი

პოეტი. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.
დიმიტრი ყიფიანის სახლ - მუზეუმის ფონდების მცველი.

ნუ გეშინია...

ნუ გეშინია, ეს ცხოვრება სავსეა მადლით,
ქვეყნად სიცოცხლე, სიყვარული, სიკეთე მეფობს.
ნუ გეშინია, არასოდეს დარჩები მარტო -
განსაცდელისას დახმარებას უფალს თუ შესთხოვ.
ნუ გეშინია, ისეთ განცდას არ მოგცემს ღმერთი,
რისი დაძლევა, გადალახვაც არ შეგიძლია,
სხვაში კი არა, სჯობს შენს თავში იპოვო ძალა-
უძლურებიდან გამოხსნის და **ნ უ გ ე შ ი ნ ი ა!**
როცა იწამებ, რომ მთავარი შენშია რწმენა,
რომ ძლიერი ხარ, თავი გიყვარს, გსურს გადარჩენა,
გაქრება შიში უძლურების და მარტოობის,
უფალს უმადლებ, რომ სამყარო თვალით გაჩვენა.

2012 წ.

თავისუფლება

თუ არ მექნება ჩემი თავის
მართვის უფლება
და სამართალი ცივ ბორკილებს
დამადებს ხელზე,
მე მირჩევნია, შევეწირო
თავისუფლებას,
თუნდ ცოტნესავით ვაჟკაცურად
დავიწვა მზეზე!
ჩემში კოდია ჩადებული
თავისუფლების,
დამონებული, უუფლებო
ვერ გავძლებ ქვეყნად,
თვალით მინახვს ნაწამები
სიმართლისათვის
და სამშობლოსთვის თავგანწირვის
კეთილი ნება...
თუ არ მექნება ჩემი თავის
მართვის უფლება,
მეც მათებრ მზად ვარ,
შევეწირო თავისუფლებას!..

17. 09. 2012 წ.

ფერიცვალება

სწრაფად იცვალა ფერი ბუნებამ,
სიომ დაჰქროლა - გრილმა, თავნებამ,
ზაფხული მიდის, უცნაურ ძალით -
სახეს გვიჩვენებს ფერიცვალება...
მაცხოვარი დგას თაბორის მთაზე,
თავზე უბრწყინავს უცხო ნათელი,
ფერიცვალება... ფერიცვალება...
ტაძარში მშვიდად იწვის სანთელი.

20 . 08. 2012 წ.

გამათბე, მზეო

გამათბე, მზეო
სიცივისგან სულიც გაცივდა,
გული ვერ უძლებს ამ სიცივეს,
კვნესის, კანკალებს,
ზარის ხმა მიხმობს ნათლისმცემლის
წმინდა ტაძრიდან,
გუმბათის თავზე უცხო ძალა
ტოვებს ნაკვალევს.
აღვირახსნილთა თარეშს ვუცქერ
ჩემი სარკმლიდან,
თანაც სიჩუმის და სინდისის
ქეჯნა მაწვალებს,
მომეცი ძალა, მოვიშორო
უტყვი სიჩუმე,
თუ საჭიროა შევუერთდე
მართალთა გვამებს.
გამათბე, მზეო, გევედრები
სული გამითბე.
თუ ამ მიწაზე ცოდვილად მთვლი,
ზეცა დამითმე.

04. 09. 2012 წ.

ამპარტავანი

ქუჩაში მოდის ამპარტავანი
და იქედნურად უჭირავს თავი,
რადგან ფეხის მტვრად არ მიაჩნიხარ,
მაღლა ზეცისკენ უპყრია თვალი...
საიდან, განცდა - უძლეველობის,
ან, რად ჰგონია თავი ჭკვიანი?!
უპირველესად ხომ თავმდაბლობით
მაღლდება მუდამ, ადამიანი!
თანამდებობა დროებითია,
მუდმივად ზემოთ, აბა, ვინ რჩება?!
მჩატე თავთავი თავს მაღლა იწევს,
მაგრამ სულ მალე მიწას ეცემა,
საბედნიეროდ, მისი თესლიდან,
ნაყოფიც კი არ აღმოცენდება -
ფშუტე იყო და ფშუტედ დარჩება,
დაიკარგება, გადაშენდება...

05. 09. 2012 წ.

პოეტი

მახვილს წააგავს თვალი - პოეტის
გული სუფთაა წყაროს წყალივით,
პოეტი მუდამ მგრძნობიარეა -
ახლადფეხადგმულ თოთო ბავშვივით.
პოეტი მუდამ პირველი ამჩნევს,
პირველი ხედავს - საოცარს, ახალს,
მისი თვალები მზესავით ბრწყინავს,
სახეს კეთილი ღიმილი ახლავს.
პოეტი მუდამ გამოირჩევა
აზრით, გონებით, განსჯით თუ ფიქრით,
ვერ გააჩუმებ და ვერ ჩაქოლავ,
მართალ სიტყვასაც პირველი იტყვის!

2012 წ.

კარის მეზობელო

ფანჯი-დუ, ჩარი-დუ, შაში-სე...
ემახის თინიკო კამათელს,
წყვილები, კამათელო! აბა, დუბეში!
მერე უსწრაფესად იწყებენ ახალ ხელს.
ათით-ცხრა... მოდი, ახალი ხელი,
ჩხაკუნებს ნარდზე კამათელი...
მე კი ვბუზღუნებ, თან მიხარია
ნარდით გართული მეზობელი...
ტოლს არ უდებენ ეკა და თინა,
გარეთ შემოდგომის სუსხია, ცივა,
ისმის შემახილი - აბა, დუბეშო! ...
კარის მეზობელო, იმედო, ნუგეშო...

2012 წ.

გიორგობა

/ზუკა ბრუნდება ხარკოვიდან/

ახლოვდება ბედნიერი გიორგობა,
სულ ცოტაც და დამთავრდება მარტოობა...
ქრიზანთემა ნაირფერად ნაბავს თვალებს,
თუმცა, მთაზე, უკვე თეთრად ჩამოთოვა!..
შენ მოხვალ და ძველებურად ამღერდება -
ჩემი სახლი, ეზო, კარი, ფუძე, ჭერი,
ერთად ყოფნა, ძველებური სიყვარული,
უსაშველო, უკან დარჩა ყველაფერი!..

23. 11. 2012 წ.

შემოდგომის ფოთოლი

შემოდგომის ფოთოლი რომ ცვივა ხიდან,
მინდა, ხელი შევაშველო, მოვეფერო,
დრო მოჭამა მოიხადა თავის ვალი,
ეჰ, არადა, რა ლამაზი ედგა ჩერო!
მიმიხვდებით, ასე რისთვის მეცოდება,
რატომ მინდა გულში ფრთხილად ჩახუტება,
დღეს რომ ვტკბები მზის ამოსვლით, ვთბები, ვხარობ,
ხვალ სიმწვანე რუხი ფერით შემეცვლება...
დღეს - ის, ხვალ - სხვა, ზეგ - ის, მერე ა. შ...
ერთმანეთის გამცილებლებს გული გვტკივა,
აი, ისევ მოფარფატე ხის ფოთოლი! -
დავიჭირე, ჩავიკარი გულში თბილად.

24. 11. 2012 წ.

გულითადი მეგობარი

ჭირში ბევრი ახლობელი დაგიდგება,
ნუგეშს გეტყვის, გულს მალამოდ დაგადნება,
მაგრამ თუკი მასზე მეტად დაგილხინდა,
მერე ნახე, მიტოვება, გადაგდება...
თუმცა, ვიღაც არის ისე მადლიანიც,
ჭირშიც, ლხინშიც თანაბრად რომ შეგიფარებს,
მტრის ჯინაზე ბოლომდე არ დაგაჩოქებს,
ხელს ჩაგჭიდებს და თავის თავს შემოგავლებს.
აი, მაშინ ძლიერდები, ამაყი ხარ,
დასაყრდენი გეგულება უტყუარი,
მთელ ცხოვრებას შეგიცვლის და შეგაყვარებს,
თუნდაც ერთი - გულითადი მეგობარი!

2012 წ .

როდის

როდის გაიშლება ყვითლად იელი,
ტყეს ვარდისფერად მოქარგავს ჭყორი,
ისე მომენატრა დღეს შენთან შეხვედრა,
ნელ-ნელა ცისკენ მივილტვი მგონი.

როდის აყვავდება კოშკის წინ ტყემალი,
კვინცხნარში გაყვითლდება შინდი,
კაოთის სერიდან დამძახებს გუგული:
- ხომ არ მოგინდაო ცხოვრება მშვიდი?!

როდის დადგება ისევ გაზაფხული,
მთისაკენ, ტყისაკენ მიმიწევს გული,
დიდ აღმართს მოჰყვებაო დიდი თავდაღმართი,
ყოველ დასაწყისს კი - დ ა ს ა ს რ უ ლ ი.

2012 წ.

„უკვე მოხვედი”

უკვე მოხვედი! - სწორედ მაშინ,
რომ მჭირდებოდი,
არ მითხოვია, თვითონ მიხვდი,
სულში ჩასახლდი,
ნაზი, უბრალო, უანგარო,
ალალი ფიქრით,
მომესალბუნე, მომეფერე,
ჩემში დასახლდი...
ახლა ჩემთან ხარ, სამუდამოდ,
როგორც მოსარჩლე
და უღალატო მეგობარი,
ერთგული - სიტყვის,
წამლად დაედე ჩემს სატკივარს,
ჩემს გულს - მალამოდ
და გახდი თანამოზიარე
განცდის და ფიქრის...

07. 12. 2012 წ.

ის სიყვარული

/ ჩემი პირველი ლექსების კრებულის „ფიქრი და ფიქრის“ პრეზენტაცია /

ის სიყვარული, რაც ოდესმე თქვენთვის გავეცი,
უკან დაბრუნდა ათასმაგად, გული გამითბო,
ნაღალატევი თუ ოდესღაც მწარედ დავეცი,
წამომაყენა ასმა ხელმა, მაგემა სითბო!
თურმე, რაც ვიგრძენ, ვიფიქრე და ღრმად განვიცადე,
თქვენიც ისეთი იყო სწორედ, ან უფრო მძაფრი,
რამდენის გულმა მსგავსად ჩემებრ მწარედ იტირა,
ვიღაცა რეგვენს, როცა შუბლზე გაუწყდა ძარღვი...
უფლის დიდება, ვედრება და საგალობელი,
ზუსტად მე რომ ვთქვი, თქვენც ისევე გულს მოგეფონათ,
მინდვრის ყვავილთა გვირგვინს, თქვენ რომ თმებში გიწნავდით,
უკან დამცვივდა ულამაზეს ვარდების კონად.
ახლა, ამ ვარდებს, თქვენ რომ ასე ცოცხალს მაყარეთ,
გულში ჩავიკრავ, არ დავაჭკნობ, მეტად ვახარებ!

07. 12. 2012 წ.

ყველაფრისათვის

მამიკო, ალბათ შენ მომეცი
მე წერის ძალა,
როგორ მინდოდა მოსწრებოდი,
თვალით გენახა.
ყველა სიტყვას და ყველა სტრიქონს
მიმიხვდებოდი,
შემიფასებდი წლობით ნაფიქრს
და ნაამაგარს.
ჩემო მამიკო, ნეტავ დედაც
არ წასულიყო,
რა ბედნიერი გვექნებოდა
ერთად ცხოვრება.
თქვენი სულია, რომ მამაგრებს,
ჩემზე რომ მეფობს,
ყველაფრისათვის - თქვენი სულის
იყოს ცხონება!..
ჩემო მამიკო, შენგან არის
დანაბარები,
რაც ვერ მოასწარ და ბოლომდე
ვერ თქვი სათქმელი,
რა დამრჩენია, თქვენს საფლავებს
ვუთხრა - მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ თ!
ტაძრის კუთხეში, კვლავ მეც შენებრ,
ვანთო სანთელი...

14. 10. 2012 წ

ვიწრო საფიქრალი

თუ პოეტის მართალ სიტყვას გაურბიხარ
და გაშინებს სადარდელი ლექსად თქმული,
მაშ, არ გყოფნის განათლება და ვერ ხვდები-
რა ძალაა მართალ სიტყვის სასწაული!
მოკლედ, სხარტად, გონივრულად გამოთქმული,
ხალხს გულს წვდება გარითმული ყველა განცდა,
საქართველო პოეზიის სამშობლოა,
ნუთუ, კიდევ საჭიროა ამის ახსნა?!
ნუ მოისმენ, ჩემო ძმაო, არც გაძალი,
გული, გრძნობა, რითმსიტყვობა სხვა რამ არის,
შენს სკამს მაგრად ჩაეჭიდე, არ წაგართვან,
შენი ვიწრო საფიქრალი, სულ ეგ არის!

2012 წ.

ვერ ვიფიქრებდი

იმ დღეს პირველად მოვიდა თოვლი!..
ბარბარობის დღე... ჩვენი ქორწინება...
უზომო იყო, უკიდეგანო,
ბედნიერების წინ - ჩემი მორჩილება.
მე მეცვა თეთრი, თოვლის ფიფქებზე
მეტად ქათქათა, გულღია კაბა
და მის სამოსელს, თეთრი პერანგით,
ჩრდილავდა, მაინც, სიმწვანე თვალთა...
ვერ ვიფიქრებდი დიდი ოცნების
ასე იღბლიან, ზღაპრულ დასასრულს,
ის სიყვარული, ბავშვური, წრფელი,
ჰგავდა ტკბილ სიზმარს, ზამთრის გაზაფხულს.
ახლაც რა ტკბილად ვიგონებ იმ დროს!..
ქორწინების დღეს, უეცარ თოვას,
ჯადოსნურ ღამეს, ფიფქებად დაცლილს -
ნატვრის ახდენის დიდ ბარბარობას.

17. 12. 2012 წ.

მევე დავანგრევ

შენ ვერ შეიცან ჩემი ფიქრები,
არც კი გინდოდა, რომ დაგენახა,
ის სიყვარული წრფელად რომ მწამდა,
გზადაგზა ჩუმად შემომეძარცვა...
ის წლები შენზე ფიქრში რომ განვვლე,
დღეს დაკარგულად, უკვე, ჩავთვალე,
მევე, დავანგრევ, ჩემს აშენებულ
ტაძარს, შენთვის და შენზე რომ ვაგე!
თავს გევლებოდი ნიავქარივით,
უმადურობის მეტი რა მარგე,
მოსაგონრადაც აღარ მინდიხარ,
კი არ წახვიდე, გადაიკარგე!

21. 12. 2012 წ.

დაგელოდები

არ შემიძლია უშენოდ ყოფნა,
დროც არ მპატიობს გაცდენილ წამებს,
ზამთარი ჩუმად კართან მომდგარა,
გულში ბუხარი ნაკვერჩხალს ანთებს!
მოხვალ, დარდსა და ტკივილს გამიქრობ,
მომიშუშდება ყველა იარა,
გულს დაგახვედრებ, მზესა და სითბოს,
იმედს და ნუგეშს, სევდას კი - არა!

21. 12. 2012 წ.

ნებოძირი

გზა რკინისა, გზად - რკინიგზა,
მიხვეული, მოხვეული,
წიფის გვირაბს თავი გავყავ,
ხრამი დამხვდა მოხეული.
მაღლა მთები, მწვანე მთები,
გადმომხტარი ჩანჩქერები,
სამოთხეში მოვხვდი უცებ,
დაბლა ხრამი, მაღლა მთები!
„მასტერაო“ მიმაქროლებს,
გავიარეთ წიფის ხიდი,
აი, ზვარე და მოლითი,
მერე, სავალი - მოვლითი...
გზა - აღმართი, გზად თეთრი ქვა,
აი, ბოლო ამოსუნთქვა,
აგერ, ჩემი სალოცავი,
ტაძარი დგას ვაკეჯვარი.
ჰა, სოფელიც ცას მიმჯდარი,
მართლაც ციდან გადმომხტარი,
ირმის ყელი, მთლად ცის ძირი,
საოცრება **ნ ე ბ ო ძ ი რ ი!**
შორდოხანას ფერდობიდან
გადმოგცქერი, თბილზე თბილო,
შენთან მინდა, შენ მიყვარხარ,
ჩემო ტკბილო ნებოძირო !

2012 წ.

კივიან ტურები

სოფლის განაპირას
კივიან ტურები,
რად შემოგვჩვევიან
ეს ღამის მდგურები!
მაშინებს, ძილს მიფრთხობს,
გულს გააქვს ბაგუნი,
თითქოს მეჩვენება
კარებზე კაკუნი...
ო, რა უზრუნველი
ვყოფილვარ მაშინ,
როცა შენ გეძინა,
მამიკო, სახლში...
თენდება, მოისმის
ჭრიალი ურმების,
ვის ახსოვს შიში და
კივილი ტურების!..
ხმაურობს ორღობე,
ბღავიან ძროხები,
სიცოცხლით ივსება
სახლები, ქოხები...

2012 წ.

როდემდე

რა პატარა ხარ, რა უძლური,
ჩემო ქვეყანავ,
ერთ დროს ძლიერი, მუხლმაგარი,
ფესვებგადგმული.
რუსი, ეზოში,
წყალს არ მასმევს,
შვილებს მიტყვევებს,
უფლებააყრილს
ცოცხლეულად მიკვდება გული!
როდემდე უნდა ითარეშოს
უსამართლობამ,
როდემდე უნდა ისაკუთრონ
ტაძარნი, ჩვენი,
როდემდე უნდა ბოგინებდეს
გაუტანლობის,
უზნეობის და უსულობის
გამხრწნელი სენი?!
როგორ მწყურია, მენატრება
სამშობლო ძველი,
დიდი დავითი,
უძლეველი თამარი - ბრძენი,
ღმერთო, შეგვინდე, უსჯულობა,
ცოდვანი ჩვენი
და დამიბრუნე საქართველო
ძლიერი, მთელი!

2012 წ.

წ ა მ ი

წ - არსული - წამივით, სწრაფად ქრება,
ა - წმყო - წამშივე წარსული ხდება,
მ - ომავალი - წამივით ჩაიქროლებს,
ი - მედი - ყოველთვის ჩვენთან რჩება!
აი, რა ძალა აქვს პატარა წამს,
კარგად გაუფრთხილდი,
თუ ღმერთი გწამს!

2013 წ.

პატარა მარის

რა ლამაზი ხარ, რა ნაზი
მარი...
გამშვენებს ორი ზღვისფერი
თვალი...
ვერ შეგედრება ვერცერთი
ქალი...
ზღვა უნდა გერქვას და არა -
მარი...
ალბათ, უშენოდ ვეღარც კი
გავძლებ...
შენს ზღვისფერ თვალებს
ვეღარ ვწყვტ
თვალებს...

02.01.2013 წ.

დიალოგი სარკესთან

აღარ მიყვარხარ, სარკევ,
განგებ გარიდებ თვალს,
რადგანაც ჩემი სახე,
იმ ძველს - არაფრით ჰგავს!..
ნაოჭი დასდევს სახეს,
ჩინიც დააკლდა თვალს,
სიბერე მოდის ნელა,
უღონოდ მიკრავს თავს...
ვერ ვეგუები ხელზე -
დამჭკნარ, დაშრეტილ კანს,
შენ რას გემდური, სარკევ,
სიბერის დარდი მკლავს!

2013 წ.

ჩვენ ორნი

ჩვენს უსაყვარლეს მრგვალ მაგიდასთან -
რა გემრიელად მივირთმევთ ყავას!..
ტკბილად ვსაუბრობთ ვით ორნი, სწორნი,
ვიგონებთ ამბებს ძველსა თუ ახალს.
ცისფერ სითბოში გვახვევს აირი,
სარკმლიდან ფიფქებს გვაყრის ამინდი,
ქალაქში თეთრად ჩამოწვა ბინდი,
ყავის სურნელი, განწყობა - მშვიდი.
ეს მეგობრობა შენთან, ყავასთან,
ჩვენია, მხოლოდ ჩვენ ორს გვჩვევია,
სადღაც, შორიდან ისმის ,,სტრავინსკი,''
თითქოს მუსიკაც შეგვირჩევია...

2013 წ.

გაქრა... წავიდა...

ზეცა იმ ღამეს ლამაზ ფიფქებს
უხვად ბარდნიდა,
მამამ ეზოში გააკეთა
თოვლის მაგიდა.
შობა გათენდა, ქრისტესშობის
მარხვა გახსნილდა
და უფლისადმი სადიდებლად
ლხინიც გახშირდა.
ტრადიციულად ჩვენს ოჯახში
ღორი დაიკლა,
დალაგდა თოვლის მაგიდაზე
უხვად მწვადები,
დედა დაქროდა, ათ ხაჭაპურს
ერთად აცხობდა,
თიხის კეცებზე ტკიცინებდა
ცხელი მჭადები...
იყო სიმღერა, იყო ცეკვა,
ლექსი, ხალისი,
განსხვავებული ჭიქა, ყანწი,
უცხო სასმისი.
ტკბილჩახუტება, იმერული
თავმოწონება,
ქვევრში სხვადასხვა
ფერის ღვინის
დაგემოვნება...
მერე მეზობლებს და ახლობლებს
დიდხანს ახსოვდათ,
მამას ეზოში ქრისტესშობის
თოვლის მაგიდა,
მათი სილაღით, სილამაზით
ნამოქმედარი
იმ ზამთარივით, იმ თოვლივით
გაქრა... წავიდა...

07.01.2013 წ.

დავით აღმაშენებელი

მიჰქრის სკვითია, მიაქროლებს
საქართველოს მეფეს მერანი,
ყორნისფერ ცხენზე შემართული,
ოქროსფერი მუზარადით,
ბრწყინავს მხედარი!
ლამაზ კულულებს უნიავებს
უფლისწულს ქარი,
კავკასიონზე არწივს სწვდება
თაფლისფერ თვალით...
მეფე შენატრის მის ლაღ ქროლვას
ცის კაბადონზე,
როგორ სწყურია მას ცხოვრება
თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი...
რჩეულს ქართლისას, ყოვლისშემძლეს,
შორსმჭვრეტელს, სვიანს,
მტრის თავზარდამცემ მეომარს და
ლაშქრიანს, ყმიანს,
გულისარგაყრილს, სასურველის
ტრფობამოკლებულს,
თვით მეწისქვილის ბედის მნატვრელს,
გარეგნულ - ზვიადს...
მიჰქრის სკვითია და მიაპობს
მკერდით ზენა ქარს,
მხედარი მისი მწარედ მოსთქვამს
ერისთავის ქალს...
მხოლოდ ცხენი გრძნობს, მძიმე ტანჯვას,
რკინის მხედარის,
თავგანწირული მიაქროლებს
მეფეს მერანი...

2013 წ.

მთვარის შუქზე წაკითხული ლექსები

მაგონდება ის ლამაზი საღამო,
მამაჩემის სუფრა ეზოს ჭიშკართან,
მთვარის შუქზე წაკითხული ლექსები,
ქარვისფერი ღვინით სავსე ფინჯანთან...
“გაზაფხულის საღამოა მშვიდი''-
იწყებს ნუგო და ერეკლე განაგრძობს,
“ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“-
მერე მამაც სადღეგრძელოდ განავრცობს...
იშვიათი, მთვარიანი საღამო,
ახლა უკვე მოგონებად ქცეული,
მთვარის შუქზე წაკითხული ლექსები,
ტკბილსიტყვობა ჩემი მამისეული -
იმ გრილ ღამეს, ის სტუმრობა მამასთან,
იყო დიდი სიყვარული იმ კაცის,
იხარეთ და პოეზიაც გიყვარდეთ!-
იმ ქვეყნიდან ალბათ, ასე გვეძახის...

2013 წ.

კოჰაბიტაცია

შეიძლება ცხვართან მგელის დაბმა?!
იცხოვრებენ ისე, როგორც და - ძმა?!
დამყარდება ეს **კოჰაბიტაცია** ,
თუ ეს სხვისი და ის სხვისი კაცია ?!
ოჰ, ეს უცხო სიტყვები რომ არ იყოს
და ქართულად გვეთქვა „თანაცხოვრება“,
გულით გვქონდეს სიყვარული ქვეყნისა,
საკუთარი ,,მე''-ს და თავის მორევა!
ყველა კაცი თუკი ასე იფიქრებს,
რომ “სამშობლო უპირველეს ყოვლისა,“
აი, აზრი, შინაარსი ქართული,
ცხვრის და მგელის ერთ მინდორზე ძოვისა!

2013 წ.

უფალო ჯვარი დაწერე

უფალო, ჯვარი დაწერე,
ჩემს ოჯახსა და შვილებს,
ვერ ეხებოდეს ეშმაკი,
ჩემი კარების დირეს!
უფალო, ჯვარი დაწერე,
ჩემი სამშობლოს მიწას,
არ დაულიო ვაჟკაცი -
ქვეყანას რომ დაიცავს!
უფალო, ჯვარი დაწერე,
ჩემს ორთავ თვალით ნანახს,
ქართველ ქალს ნაწნავგადმოშლილს,
ქართველ ჩოხოსან ვაჟკაცს!
მართმადიდებელ ქრისტიანს
რომ შეჰფერის და შვენის, -
ისეთი სულით აცხოვრე,
ჩემი ქართველი ერი!

19.01.2013 წ.

საგანძურის საგანძური

/ ექვთიმე თაყაიშვილს/

ლიხაური, დაბადება, სიხარული,
მესამე ძედ თბილ კერას მოევლინე,
ურთულესი ხვედრი გერგო ცხოვრებაში,
ერის კაცო, სიამაყე, ექვთიმე...
უმამობა ახალშობილს უკან მოგყვა,
დედის მკერდზე მძინარს - დედის სიკვდილი,
ხეიბრობა, ობლობა და გაჭირვება,
ბედთან მუდამ დიდი ბრძოლა-ჭიდილი.
მეოთხედი საუკუნე შეალიე,
საქართველოს საგანძურის შენახვას,
თვით სიცოცხლე გასწირე და არ დაუშვი -
ჩვენი ერის სიწმინდეთა შელახვა!
ამ გზის გავლა მხოლოდ შენ ერთს თუ შეგეძლო,
ჩვენს სამშობლოს მზის სხივად მოეფინე,
სანაქებო მეჭურჭლევ და ერის შვილო,
სიწმინდეთა გადამრჩენო, ექვთიმე!..
ოსმალოთა სამთავროში ისევ გელის
ოშკი, ბანა, ხახული და იშხანი,
როგორც წმინდანს შენს სულს შესთხოვს მოწყალებას,
უსამშობლოდ დარჩენილი პარხალი.
ამა ქვეყნის საგანძურის დიდო მწყემსო,
„საგანძურთა საგანძური“ თვითვე ხარ,
შენს საფლავზე მუხლს მოვიდრეკ, დავიჩოქებ
და ქართულად ჩამოგძახებ: - მიყვარხარ!

23.02.2013 წ.

ამოდი მზეო

სამი ისარი შეიკრიბნენ თორმეტთან ისევ,
დრო თავის ჭაპანს უსიტყვოდ და უხმოდ ეწევა,
საათის წიკწიკს არ ემთხვევა ჩემი გულის თქმა,
იგი წინ გარბის, წამზომიც კი ვეღარ ეწევა!..
მე მეჩქარება, სად და რატომ თავად ვერ ვხვდები,
კანონზომიერ დროის ათვლას ვერ ვეთანხმები,
უფალმა, ჩვენმა, დააწესა იმისთვის ღამე -
რომ ასვენებდე გულს, გონებას, გადაღლილ თვალებს...
მე რად ვჯიუტობ და ვათენებ ისევ ამ ღამეს,
ყოველი ღამე გათეული მამჩნევს ნაკვალევს,
მინდა მზეს შევხვდე, არ დავსდევდე ნაღვლიან მთვარეს,
მზეო, სინათლევ ამ სულისა, ამოდი მალე!

19.01.2013 წ.

ჩემო დედა.

როცა სიტყვა „დედას“ ვეღარ დაიძახებ,
ვეღარც მამას მიეყრდნობი ძლიერ მკერდზე ,
ქვეყნად რჩები უძლური და მიუფარი,
ბეჩავი ხარ ყველაზე და ყველაფერზე...
როცა ტკბილად ვერვინ გეტყვის: ,, მოდი, შვილო,“
ვერც ვერავინ მიგიხვდება გულის სევდას,
მაშინ, მწარედ მოქვითინე, ასე ფიქრობ:
ნეტავ, მარად მყოლებოდა ჩემი დედა!..
მხოლოდ მშობელს, მხოლოდ დედას შეუძლია ,
სიყვარული უზღვავი და უანგარო,
ამიტომაც, როცა გვერდით გეგულება,
თვალის ჩინზე მეტად უნდა მოუარო.
ობლის კვერი იშვიათად გამოცხვება,
უნუგეშო ცხოვრების გზა, ცრემლთა დენა,
და ვიდრე გყავს გვერდიდან ნუ მოიშორებ,
სიყვარულით დაუძახე ,,ჩემო დედა!“

03.03.2013 წ.

კურცხალი

მე დამინახავს სახეზე ცრემლი,
როცა სიტყვებიც კი ზედმეტია,
ყველაფრის მთქმელი, ყოვლისმეტყველი,
თვალზე პატარა, ერთი ცრემლია!...
სულ პაწაწინა, ერთი კურცხალი,
შენს უნებურად გადმონადენი,
წყენა უთქმელი, ჩუმი ნაღველი,
უხმო ტკივილის გამომხატველი.
ვერა, ვერ ვიტან უსიტყვო კურცხალს,
მაფორიქებს და სულს მიხუთავს,
ადამიანთან თქმას თუ ვერ ბედავ,
გათავისუფლდი, ღმერთს მაინც უთხარ!..
...
გთხოვ, ნუ მაჩვენებ, ნუ დამანახვებ,
უთქმელად ნათქვამ უსიტყვო კურცხალს...

2013 წ.

ისევ აყვავდა შენს ეზოში იასამანი

ისევ აყვავდა შენს ეზოში იასამანი,
შენს საამებლად მეც იასამნისფრად ვიმოსები.
თვალები გეძებს, მგონია, რომ სადღაც ახლოს ხარ,
მიწონებ სამოსს, გეღიმება და ილოცები...
რა ლამაზია, რა ნაზია იასამანი,
უხვი ყლორტები ყვავილებით ეზოს ამშვენებს,
ყვავის ხეხილიც, ავარდისფრებს ვენახს ატამი,
ეზოს ყაყაჩოც ფანჩატურთან შენს თავს მახსენებს.
მახსოვს, ვყლაპავდი ბავშვობაში ყვავილის გვირგვინს,
მრვალფურცლიანს სურვილების ახდენას ვთხოვდი,
ახლა კი, თუ რამ შეუძლია პატარა ყვავილს,
მე შენი სულის უკვდავების სურვილს შევთხოვდი...

2013 წ.

დატოვე ქვეყნად სიყვარული

თუ დაფიქრდები
რა მოკლეა ჩვენი სიცოცხლე,
თუ გაიაზრებ,
როგორ ხარობ, რომ ხედავ, გიყვარს,
აღარასოდეს
მიაყენებ ახლობელს ტკივილს,
აღარასოდეს
არ აკადრებ უკადრის სიტყვას!..
თუ დაფიქრდები,
შეიძლება ხვალ აღარც იყო,
დრო სწრაფად გაქრა,
მკაცრ სიბერეს თავქვე მიყავხარ,
იწამე ღმერთი,
ნუ მოაკლებ ახლობელს სითბოს,
გული უჩვენე
თუნდ ათასჯერ უთხარ,
მიყვარხარ!!!
მოხვედი ქვეყნად,
მით უფალი გამოცდას გიწყობს,
სამარადისოდ
აქ ვინ გტოვებს, უკანვე გიხმობს,
კეთილი საქმით
მოიხვეჭე სახელი შენი,
დატოვე ქვეყნად სიყვარული
და მხოლოდ სითბო...

2013 წ.

შენ...

ჩემი ტკივილი რომ გტკივა,
ჩემი სიცივით რომ გცივა,
ჩემი წუხილით რომ წუხხარ,
ჩემი დუმილით რომ დუმხარ,
ჩემი სიმღერა ხარ, დღე ხარ,
შენ ჩემი უღრუბლო ცა ხარ,
უძირო, უნაპირო, ზღვა ხარ,
მადლობა უფალს, რომ მყავხარ!

2013 წ.

აღდგომის ღამე ნებოძირში

ქრისტიანთა სამყაროს
სასწაული - ცისკარი,
გალობს მამა მირიანი,
ხატებს უკმევს საკმეველს,
ვაკეჯვარის წმინდა ტაძრის
მღვდელი, პატიოსანი,
მრევლთან ერთად აღდგომის დღეს
მეთოთხმეტედ ათენებს...
ულამაზეს ტაძარში,
წმინდანების ხატებთან,
გენადის და ვასიკოს
სურათები აწყია,
მათი სულის ცხონებას
უფალს შეთხოვს მოძღვარი,
ვერ ივიწყებს, ატარებს,
როგორც მძიმე ნატყვიარს.
კედლები გვიამბობენ
ქრისტე ღმერთის ცხოვრებას,
ჯვარცმა, მკვდრეთით აღდგომა,
ადამ - ევას გამოხსნა,
მირიანის კურთხევით,
მისი ლოცვა - ვედრებით,
ნუგზარის ოქროს ხელმა
დაწერა და ამოხსნა...
უკვე დადგა ნანატრი,
ზიარება ზღაპრული,
სინანული აღდგომის,
სიხარულით მეცვლება,
სიყვარულით, მოძღვარი,
ქრისტეს ხორცით მაპურებს,
საკურნებლად სულისა,
მისი ლოცვა - ვედრება...

05.05.2013 წ.

ბავშვის თვალით ...

შენ ბავშვის თვალით უცქერ სამყაროს,
მათ მსგავსად ხვდები წვიმას თუ თოვას,
გართობს, გახარებს ცხელი ზაფხული,
ვარდობის თვეა თუ შემოდგომა.
შენ მზე ხარ, ქვეყნად ყველაზე თბილი,
შენ იცი ენა ბავშვის ტიტინის,
შენ შეგიძლია მათ სულში წვდომა,
რატომ თამაშობს, რატომ იცინის!..
ბავშვივით ნაზო, ბავშვივით წრფელო,
პირველო სიტყვავ, გრძნობავ პირველო,
ქვეყნის მომავლის ბედის მჭედელო ,
საბავშვო ბაღის მასწავლებელო!

2013 წ.

კმარა

/დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში/

წმინდა დიმიტრის აივნიდან დავცქერი ქვიშხეთს,
ახლა ტაძარში მისი სულის პარაკლისია,
ვწუხვარ, ქვეყანა ხელის გულზე ნაგოგმანები,
ისევ "თავადვე არ გვეყუდვნის", ისევ სხვისია!..
ზემოთ ოთახში, ყველა ხატთან სანთელი იწვის,
მრგვალ მაგიდასთან გვერდს უმშვენებს დიმიტრს ილია,
აქვე, სულ ახლოს, უცხოელი ჩვენს მიწას ჩიჩქნის,
„ორ აზრთა შორის - ხიდი ისევ ჩატეხილია!''
ერის რჩეულთა გზაზე მყარად დავდგეთ ქართველნი,
არაქართულზე, უწმინდურზე მტკიცედ ვთქვათ ,,არა!",
მათ უკვდავებას და სიწმინდეს ვუნთოთ სანთლები,
სიმართლისათვის დავარღვიოთ დუმილი, კ მ ა რ ა !!!

26.04.2013 წ.

ცაცხვის ყვავილობა

პატარა სკვერში სურნელს აფრქვევს
ყვავილი, ცაცხვის,
ნაზსურნელებით უერთდება
ვარდისსულობას,
თეთრი, ფაფუკი თავს ევლება
მწვანე სამოსელს,
მშვენიერების ნაზავია ეს მორთულობა.
ყვავის ქალაქი,
გახვეულა ფერად კაბაში,
თავზე მზე ადგას,
აფახურებს დაღლილ,
ლურჯ თვალებს,
მაგრამ ამ ჩემს გულს,
გამოწურულს
ქვეყნიურ დარდით,
ეს ყვავილობაც და სურნელიც
ვეღარ ახარებს…
თვალს ვერ ვაშორებ
გასაოცარ ბუნების ზეიმს,
მაინც… დაღლილი
ამ ცხოვრებით,
ვგავარ ნაწამებს.
უსაშველობა წარსულის თუ
მძიმე მყოფადის,
მთრგუნავს, მაღონებს,
არ მასვენებს,
მღლის და მაწვალებს!..

2013 წ./მაისი/

****

მე რომ მწყურია, შენ ის წყარო ხარ,
რომ ვერ გავცურავ ის ზღვა ხარ, სწორედ,
ტბა ხარ, ჩემს გულში ჩაგუბებული,
გრძლად მიმავალი მდინარე, მდორე...
მე რომ მწადია, ის მწვერვალი ხარ,
დაუპყრობელი, მიუწვდომელი,
სალი კლდესავით ფეხშეუდგმელი
და საოცარი საჩრდილობელი...

2013 წ.

გაზაფხულის ყვავილები

თავი ამოჰყო ენძელამ,
თეთრმა, სათუთმა, თრთოლვით,
მწვანე ხასხასა ფოთლებით
გააფერადა თოვლი.
იქვე, სულ ახლოს, ბუჩქებთან,
ნაზად უღიმის ია,
მეც აქვე ვარო, დობილო,
ლურჯკაბიანი მქვია.
ყოჩივარდებიც მოსულან,
და მოუქარგავთ კორდი,
ფირუსულებიც ერთმანეთს
ესალმებიან კოცნით.
ყვითელკაბიან ნარცისებს
წითლად შეჰხარის ტიტა,
ვარდს დაუბერვას კოკორი,
გადაქცეულა კვირტად!
ყვავილთა სიცილ-კისკისით,
ცაში მერცხალთა ქროლვით,
ბუნება ყვავის, ირთვება
და გაზაფხული მოდის!

2013 წ.

მოხვედი და..

მოხვედი და ჩემს ქუჩაზე
მომიტანე გაზაფხული,
ხან ია ხარ, ხანაც ვარდი,
ხან ატმის რტო, არნახული.
ხანაც მინდვრის მატიტელა,
ცისფერკაბა, ცას მცქირალი,
მოხვედი და გამიჩინე
სანატრელი საფიქრალი!..
ჩემი ქუჩის გაზაფხულო,
უცხო ქნარო, მოარულო,
მზისებრ სახე მოცინარო,
მთას მომწყდარო ნაკადულო!
ჩემო ფიქრო, ჩემო ლხენავ,
მარმარილოს ქანდაკებავ,
მონარნარებ ნება-ნება,
შენი ხილვით გული დნება!

2013 წ.

მამას

ანახლებს გოგა იმ ფანჩატურს -
შენ რომ გიყვარდა,
კოპიტის ხიდან თლის ქონგურებს,
ავლებს მაგიდას,
იცის, მადლია, ბაბუს ხსოვნას
სულს რომ უცხონებს
და გულს უხარებს მის საყვარელ
მამას, მამიდას.
მერე ის წყალი, შენ რომ
კლდეში გამოიყვანე,
გოგას ხელებით ქვით მოოჭვდილ
წყაროდ იქცევა
და ჩანაფიქრი შენეული,
ულამაზესი,
მყუდრო სავანედ და ბაღნარად
გადაიქცევა.

06. 08. 2013 წ.

რთველი ნებოძირში

აკიდოს ვჭრი ძველებურად,
ჭერში ვაწყობ შენებურად,
უხარია ეკას, ზურაც -
ძველებურად ყურძენს წურავს...
კვლავ სავსეა საწნახელი,
მოჩხრიალებს ღარში წვენი,
ღვინის ჭურჭელს ყელში სწვდება,
ყურძნის ქაფი ქარვისფერი.
პაწაწინა თითუნებით
ავსებს თეო ყურძნით, კალათს,
სიხარულით კრეფს მსხვილ მტევნებს,
ეფერება შავ, მსხვილ მარცვალს.
თხილის ხესთან თამაზმაც რომ
მოუღერა წვრილ ტოტს წალდი, -
მალე ლერწმის ნაკვერჩხალზე
დაიბრაწა წითლად მწვადი.
ეს რა ლამაზი რთველი გვაქვს,
ოჰ, რა რთველი, ოჰ, რა ნადი,
შემოდგომის ოქროს დილავ,
რა საამებლად დაღამდი!

10. 10. 2013 წ.

დროებითი თავდაღმართი

დაღონებული არ მინდა გნახო -
ბუნებით მშვიდი, კეთილი, სათნო...
მინდა, თვალებში გენთოს მზის სხივი
და სიყვარული ცეცხლივით ანთო.
არ მინდა, გძლიოს უიმედობამ,
არ ვარ ჩვეული შენს თვალში ნაღველს,
ვერ დაგამჩნიოს სევდამ იარა,
მინდა, სიცოცხლით დატკბობის გწამდეს!
თუ წარმატებამ დაიგვიანა,
ეს დროებითი თავდაღმართია,
უკუნეთიც რომ იყოს გვირაბში,
ბოლოს, სინათლე იქაც ანთია...
ამიტომ უნდა გაჰყვე მოთმენით,
ხვალის იმედის ნაპერწკალს სწვავდე,
ბრძოლაა მთელი ჩვენი ცხოვრება -
დაბადებიდან - ბოლო წამამდე.

2013 წ.

თვალები

გარს მახვევია
უამრავი ადამიანი,
რა ლამაზი აქვთ შემოხედვა
ამ დალოცვილებს!..
თვალები - შავი, ლურჯი, მწვანე
თუ იისფერი,
სითბოჩაღვრილი მოფერებით
მხვდება, მაცილებს...
რა ლამაზია ხალხნო, თქვენი
თვალების ფერი,
ნუთუ ყოველთვის და ყველასთვის
ასე ინთება?
შემომხედავთ და სიყვარულის
სხივებს დამაფენთ,
მერე, მეორე შეხვედრამდე
არ მავიწყდება...

2013 წ.

ყაყაჩოთა ზღვა

წითელ ფერად ელავს
ქართლის მწვანე ველი,
ყაყაჩოთა გრძელ ზოლს
სწრაფად კვეთავს ცხენი.
მიჰქრის თითქმის ფრენით,
ყვავილთა ზღვას სერავს,
უერთდება ვნებით
ყაყაჩოთა ღელვას.
თავისუფალ ქროლვას,
ვერ ვუცქერი მშვიდად,
მისი გულით ფეთქვა
და სიმარდე მინდა.
შემაერთა ნეტავ,
ყაყაჩოთა ღელვას,
ან მის წითელ ზღვაში
გამიტაცოს ცხენმა!

2013 წ.

პატარა ტივი

ოცნება დამრჩა მხოლოდ ოცნებად,
ვამჩნევ დავკარგე სახეზე ღიმი,
ორ აზვირთებულ ტალღათა შორის
ტივტივებს ჩემი პატარა ტივი.

ნეტავ, სად არის ახლო ნაპირი,
ნუთუ არსებობს იმედის სხივი,
ათას ქარიშხალს გადარჩენილი -
დამსხვრევას ებრძვის პატარა ტივი.

2013 წ.

გშვენოდა

გშვენოდა შავი, ახალი კაბა,
სახე ფერმკრთალი, თვალებში შიში,
მუდამ მხიარულს, კეთილს და ლამაზს,
თითქოს ცხოვრებამ მოგიგო ნიშნი.
ცრემლები ედგა, მწუხრის ცრემლები,
მაგ დიდრონ თვალებს, შავ, გრძელ წამწამებს,
მუდამ, ჩვეული ნაზი ღიმილით -
მაინც, უზომოდ გავდი ნაწამებს!
თვალებში მიდგას, - თეთრი აყალოს
მიწას ჩაკრული, ლამაზი წვივი,
ულამაზესი ტანის ცახცახით
ქმარს აცილებდი პატარა ქვრივი...

26. 05. 2013 წ.

გვახსოვდეს აფხაზეთი

ენგურს გაღმა დარჩენილო აფხაზეთო,
ძალით მოწყვეტილო დედის უბიდან,
ნატყვიარო და მწარედ ნაწამებო,
სისხლო, დაღვრილო ქართული გულიდან!
რამდენ ვერცხლად ხართ გაყიდული,
გაგრა, აფონო, ბიჭვინთა, ლიძავა,
გულში ცრემლებად ჩამდინარო -
ფსოუ, ენგურო, ბზიფო, იულშარა!..
იქნებ, ის აკვანი რიწის ტბის ძირზეა
დღემდე რომ დაეძებს ქართველი,
შენ ხარ აფხაზეთო, დღეის ნაღველი და,
ხვალინდელი დღის - ნათელი.
ყოველთვის, ყოველ წუთს,
სიზმარშიც **გ ვ ა ხ ს ო ვ დ ე ს**,
ჩვენი ლურჯთვალა **ა ფ ხ ა ზ ე თ ი**,
ობოლი ბავშვივით დედის გზას მზირალი-
პატარა სამოთხე და სავანეთი!

27. 09. 2013 წ.

ემიგრანტებს

/ დათო ლაცაბიძეს /

მოდი, აქ არის შენი ფესვები,
ამოიყვანე ბუხრიდან კვამლი,
ლაროს ახოში, ნაძვის ხის ტანზე,
ჩამოათალე სანთებად კვარი!
მოდი, მოხადე აყალო მიწა,
ბაბუს ჩაგდებულ ძველ თიხის ქვევრებს ,
ამოუშენე ახალი თაღი -
უკვე შუაში გადამსკდარ კედლებს!
მოდი, დაბრუნდი, შენი სამშობლო,
შენი პატარა კუთხე გეძახის,
ისევ გასხალი ბაბუსნაირად -
ეზოს ადესა ჯიშის ვენახი!..
შენ გელოდება ძველი ბუხარი ,
შენი ფესვები მხოლოდ აქ არი,
კვლავ დაუბრუნე სიცოცხლე კერას -
შვილიშვილების დადგი აკვანი!..

01. 08. 2014 წ.

ვინ...

ვინ დაგამცირებს,
ვინ გაკადრებს
სიტყვას უკადრისს,
თუ არა ისევ შენიანი,
შენს ახლოს მდგარი!
ხესაც კი რკინა ვერასოდეს
ვერაფერს აკლებს,
რომ ნაჯახის ყურს
არ ეკეთოს მისივე ტარი!

2014 წ.

პატარა ქოხი

გრუხუნებს,
ელავს,
ცა ღრუბლებს
კერავს,
მზეც არ თმობს
ადგილს,
ლურჯს წითლად
ფერავს.
იქუხა უცებ,
დაეშვა წვიმა,
მოიცვა ზეცა
ფერთა ციმციმმა.
ღრუბელი შავი,
ღრუბელი სერი,
ყვითელი - წითელი,
ფოლადისფერი...
მოაწყდა მიწას
სეტყვა და კოხი,
დამილპო ჩემი
პატარა ქოხი...
მერე, გულიანად
იცინა მზემ -
ხალისით დაღამდა
ბრჭყვიალა დღე.

2014 წ. / ნებოძირი /

დედიკოს ფიქრი

დედიკოს ფიქრი, დედიკოს დარდი,
დედიკო ფხიზლობს, ძინავს თუ დადის...
სულ დააქვს უბით, სულ უდევს თავთით,
სხვის ჭერქვეშ მყოფი პატარა და-ძმის -
დარდი, დარდი და დარდი...

2014 წ.

იქნებ...

რა ლამაზი ხარ, ცაო,
დაისი გეკვრის მკერდს,
ცისფერზე ვარდისფერი ჭარბობს,
ღამე ენაცვლება დღეს.
უცხო , ჯადოსნური ხელით,
ფერი ეხამება ფერს,
ღრუბლებში გამალებით ვეძებ,
იქნებ, თვალი მოვკრა ღმერთს...
არა, არ ვემდური ბედს,
ვხედავ უთვალავ ფერს,
მთებზე გადაფრენას ვლამობ,
იქნებ, ზღვაშიც ჩავყვე მზეს...

2014 წ.

ფიქრო

ფიქრო, შენ მხოლოდ ჩემი ხარ,
ჩემი გულის ხარ ნადები,
ხმამაღლაც რომ არ წარმოგთქვა,
მაინც გაიგებს გამგები.
სულ ჩემთან ერთად დადიხარ,
ხან მთას ვეწვევით, ხან ბარსა,
ხან თვითვე გამოვიგონებთ
ჯერ გაუგონარ ამბავსა.
ფიქრო, გამიძეხ, გენდობი,
ხან დაგალაგებ რითმებად,
ხანაც ქვეყანას შევებმით
ხოხბისფერ ყელზე მძივებად.
ფიქრო, არასდროს ილევი,
ჩემთან ხარ, როგორც საგზალი,
ისეთი ყოვლის შემძლე ხარ,
სულ არ გაქვს დრო და საზღვარი!

2014 წ.

ფულის მოშურნეებს

ისე ამიცრუე გული,
შენი ბოღმითა და შურით,
უკუნი ღამე ხარ და ბნელი,
დანახვაც არ მინდა შენი!
შენი ჰობია ფული,
სხვას ვეღარაფერს ხედავ,
ისე აგიმღვრია სული
ღმერთის გატოლებას ბედავ!..
ბოლოს ერთი გზა აქვს ყველას -
მდიდარს, ღარიბსა თუ გამვლელს,
ყველაფერი წყდება ისე,
როგორც მიაჩნია გამჩენს.
თუ სხვას ვეღარაფერს ხედავ,
ამას გისურვებდი გულით,
სული გეცლებოდეს შურით,
ჯიბე გევსებოდეს ფულით!..

2014 წ.

ქარი

ქარი ებრძვის გამეტებით აივანს,
უნდა, ძალით შემოტეხოს კარი,
ამ ზამთარს და ამ ქარს რა გადაიტანს,
ვცდილობ, მაგრამ ვერ მოვხუჭე თვალი...
ამიტანა უსაშველო სიცივემ,
ვერ გავითბე გაყინული სისხლი,
ფანჯარაზე წკარა-წკურობს ფიფქები,
გულზე მაწევს უსაშველო ფიქრი.
სად წავიდა, სად გაფრინდა ის წლები,
როცა თოვლი თბილ ქურთუკად მეხურა,
აივნიდან მისისინებს ზამთარი,
მეც ვკანკალებ, ვით უძლური ბეღურა.

2014 წ.

/მეგობრის დღიურიდან/

ოცდამეოთხედ შემოეძარცვა ჩემს ქუჩაზე
ფოთლები კაკალს,
თითქოს მიყვება, ბებერი ტანით, ძველ,
ნაცნობ ზღაპარს,
მერე ითოვა, უსასრულოდ
ყარა ფიფქები,
გრძელმა ზამთარმა მომაძალა
შენზე ფიქრები.
ოცდამეოთხედ კვლავ ჩაიცვა
კაკალმა მწვანე,
ყვავილობასთან ერთად თითქოს
მეც გავიხარე,
მერე დასცვივდა ჩვენს საყვარელ
ვარდებს ფურცელი,
მე რომ იმედით მოლოდინის
თვალით ვუცქერდი.
ოცდამეოთხედ ისევ დადგა
ცხელი ზაფხული,
გადამეცრიცა შავი კაბა,
ვერ ვპოვე შვება
და მე დავრწმუნდი, არაფერი
არ მინდა მეტი,
ჩემი თვალები ისევ, ისევ
შენ გელოდება!

2014 წ.

რაც - ვინც

„რაც“ დავკარგე, ვერასოდეს დავიბრუნე,
არც არაფრის დაბრუნება მიფიქრია,
„ვინც“ დავკარგე უსაშველოდ მენატრება,
იქ, იმ ქვეყნად, სიზმარშიც ვერ მიმიგნია.
„რაც“ დავკარგე არაფერზე მინანია,
გრძნობა, ნატვრა, ანდა ნივთი ფასეული,
„ვინც“ დავკარგე - უსასრულო ტკივილია,
რომ ვერ შეცვლის, ვერც ძვირფასი განძეული.
სულ ყველაფერს, სულ ყველაფერს შეველევი,
რაც კი ტანჯვით შემიქმნია, სულ დავკარგო,
„რაც“ - რომ ჰქვია, არასდროს გავეტირები,
მთავარია, **„ვინც“**- რომ ჰქვია, არ დავკარგო!

05. 01. 2014 წ.

ქათქათა ჭერი

ახალ წლის ღამეს მშვიდად თოვს გარეთ,
მხიარულ ქალაქს უკვე ჩათვლიმა,
თოვლიან გზაზე გაცურდა ღამე,
ფიფქთა ქსოვაში გათენდა დილა.
სარკმლის წინ მდგარი ეზოს ხეები,
სულ მოუხატავს უჩინარ მხატვარს,
თეთრად დაფიფქულ ტოტების მიღმა,
ჩემი თეატრი მაგონებს ტაძარს!..
საოცრად მშვიდად, საოცრად დინჯად,
ციდან მოცურავს ფანტელთა ჯერი,
ულამაზესმა ახალ წლის დილამ,
დახურა ქალაქს, ქათქათა ჭერი!..

14. 01. 2014 წ.

დაკარგული დაისი

გაზაფხულმა დაკარგა ელფერი,
ზაფხულსაც აღარ აქვს ხალისი,
ძვლებურად მზეც აღარ ამოდის,
ცაზე დაიკარგა დაისი.
ადამიანების თვალებში ნაღველი,
შუბლი დაღარული, დაღლილი,
სახე - სევდიანი, დახრილი,
ცრემლი - სიჩუმეში დაღვრილი.
სამშობლო - ნახევრად დაკარგული,
ხალხი - სხვა ქვეყნებში დაფანტული,
უბიწოება - შელახული,
სარწმუნოება - გალანძღული.
გაზაფხულმა დაკარგა ელფერი,
ზაფხულსაც აღარ აქვს ხალისი,
ძველებურად მზეც აღარ ამოდის,
ცაზე დაიკარგა დაისი...

2014 წ.

გომიდან ქვიშხეთამდე

პურის ყანის მწვანე ზოლს,
წითლად ფერავს ყაყაჩო,
ყვითელგულა გვირილების
ჯერი მოსჩანს სადღაც, შორს!..
თვალუწვდენელ ქართლის ველს
თუ შეავლებ ამ დროს თვალს,
ვერასოდეს დაივიწყებ,
მართლაც ზღაპრულ ყვავილნარს.
ყაყაჩოთა სიწითლე,
გვირილების ღიღინო,
მწვანე ველზე იისფრად
მოღაღანე ღიღილო.
ქართლის მიწავ, მადლიანო,
ნაზავ ფერთა პალიტრა,
ნეტავ , ყაყაჩოდ მაქცია,
მეც რომ გულში ჩამიკრა!

2014 .წ . / ივნისი /

დამიბრუნე ...

ამოუჯდა წვიმას გული ტირილით,
ღვარღვარება ცრემლებს მაყრის, მასველებს,
მომაძალა დარდი, სევდა, ნაღველი,
ამიშალა ფიქრი, აღარ მასვენებს!
ნიაღვარმა გული ისე გარეცხა,
დამამჩნია ნაქვიშარი, ნაკაწრი,
სულ ერთ წამში წამიშალა გეგმები,
მილიონჯერ ნაფიქრი და ნააზრი.
ნუღარ სტირი, ცაო, ცრემლი შეიშრე,
გახსენ შუბლი, გაიცინე გამათბე,
დამიბრუნე მომავალის იმედი,
სიცოცხლით და სიყვარულით დამატკბე!

2014 წ. / მაისი /

იასამნის ფერი

მიყვარს, მიყვარს იასამნის ფერი,
მისი ნატვრით სულ გაზაფხულს ველი,
აყვავებას ატმისა და ტყემლის,
ამწვანებას - მინდვრისა და ველის.
იასამნის ფერს ჩავიცვამ - კაბას,
დავიფარებ ამ ფერისვე მანდილს,
ავუყვები ქვის ბილიკით აღმართს,
ჩავეკვრები იასამნის ყვავილს.
მიყვარს, მიყვარს იასამნის ფერი,
სურნელი სდის ჩემი ტკბილი დედის,
ამიტომაც, სულ გაზაფხულს ველი,
აყვავებას - ატმისა და ტყემლის.

2014 წ.

ვცდილობ

ვცდილობ ჩემს თავში
მოვიძიო
ნებაც და ძალაც...
არა განკითხვის -
პატიების და მიტევების.
შურსა და მტრობას
დრო წაიღებს,
დროვე მოიტანს
სურვილს -
სიკეთის, სიყვარულის
და შერიგების.

2014 წ. / მაისი /

ახლაც...

ახლაც ძველი სიყვარულით ვუცქერ,
შენს დიდრონ და მწვანე ფერის თვალებს,
დრო სწრაფად შლის ახალ-ახალ ფურცელს,
დაემსგავსა ნახევარ რკალს მთვარეც.

მაინც მესმის გულის ფეთქვა შენი,
თუმც, ჩვეული მონდომებით მალავ,
ღმერთო, მოგვეც ერთგულების ღონე,
ღმერთო, მოგვეც ერთად ყოფნის ძალა!

24. 09. 2014 წ.

****

ვინ - ლექსად ამბობს სათქმელს,
ვინ - შავით თეთრზე ხატავს,
ვინ - იგავებში აქსოვს
წინაპრის ნათხრობ ამბავს.
ვისაც რისი აქვს ნიჭი,
ისეთს აშენებს ტაძარს,
ნეტავ, მას, ვინაც იტყვის:
ნამდვილს, გულწრფელს და მართალს.

2014 წ.

წყალი მასხურეთ, ენგურის წყალი

სცილდება გემი სოხუმის ნაპირს,
თავგანწირული მიცურავს ძაღლიც…
მას როგორ უნდა ერქვას ცხოველი,
სხვას ერთგულება ვის ძალუძს მსგავსი?!
რამ გაამწარა ასე საბრალო,
გემიც რად სტოვებს სასწრაფოდ ნაპირს ?!
გაავებული ადამის მოდგმა
დამსგავსებია დამშეულ ნადირს.
ძმას, ძმის სისხლში აქვს გასვრილი ხელი,
ქალაქი მოსთქვამს, მიწა ზანზარებს,
ამ დროს ცივსისხლა წამქეზებელი
სატანისებურ ხმაზე ხარხარებს!..
მიწის დამკარგავს, ამის დამნახავს,
ახლა მჭირდება უფლის შეწევნა.
წყალი მასხურეთ, ენგურის წყალი,
სხეული მეწვის, სული მეწვება!

25. 11. 2014 წ.

როცა

როცა ქვეყანა სისხლად იცლება,
ნაგლეჯ - ნაგლეჯად გვწიწკნიან მიწას,
როცა გვცემენ და არც გვატირებენ,
ლაფში გვსვრიან და ვერავინ გვიცავს -
დრო არის, ყველა გონზე მოვიდეთ,
რა დროს ქოცია, რა დროს ნაცია,
საღი გონებით საქმე განვსჭვრიტოთ,
თვალებში ისეც ნაცარს გვაყრიან!

2014 წ.

მტკივა აფხაზეთი

დაათოვა კავკასიონს,
გადათეთრდა თრიალეთი,
ლიხის ქედიც თეთრად მეფობს,
მომენატრა მზიანეთი.
თეთრი, თეთრი, ირგვლივ თეთრი,
ვებრძვი ზამთარს ფიფქებაყრილს,
ეს ცხოვრებაც ზამთრის მსგავსად
სიცივეს და ფიქრებს მაყრის.
ბრძოლა, ბრძოლა, ნატვრა, ბრძოლა,
ყოველისთვის, ყველაფრისთვის,
თმებიც თეთრად დამეფიფქა,
ეს ცხოვრებაც წუთებს მითვლის.
ნეტავ, მოვსწრებოდი მაინც,
ჩემი ქვეყნის გაბრწყინებას,
ჩემი ერის, ჩემი ხალხის,
გულიანად გაცინებას.
დაათოვა კავკასიონს,
გაათეთრა თრიალეთი,
ჩემი გული შველას ითხოვს,
ზამთარსა და ფიქრებს ვებრძვი.
ნეტავ, შეისმენდეს ღმერთი,
ამისრულოს თხოვნა ერთი, -
სიცოცხლეში დამიბრუნოს,
სამაჩაბლო - აფხაზეთი!

2014 წ.

ლოცვა

უფალო, მომხედენ,
მომხედენ, მე - ცოდვილს,
რათა ცოდვათაგან
განმწმენდდე, განმბანდე,
უფალო, მომხედენ...
მომხედენ, მე - მდაბალს,
რათა სიბრძნითა შენითა
ავმაღლდე...
უფალო, მომხედენ,
მოიღე წყალობა,
რათა სულ მცირედ,
სულ ოდნავ, რომ გგავდე,
სული წრფელი და
გული განწმენდილი,
დაბადე ჩემთანა,
უფალო, დაბადე!..

2014 წ.

შემიყვარდი და...

შემიყვარდი და ფეხი
მიწას ვერ დავაკარე,
ცაში ვიფრინე,
ცის მნათობნი ვთვალე და ვთვალე,
დღისით მზე ვიყავ -
ოქროსფერი და პირმცინარე,
ღამით - შენს სარკმელს ჩამომჯდარი
ქათქათა მთვარე.
სამყარო, ასე მშვენიერი,
ჩემი მეგონა,
მინდვრებს მოვედე,
ყვავილები ფერებად ვკონე,
სულ ყველაფერი მახარებდა,
სული მღეროდა,
როცა მიყვარდი, მაშინ,
როცა ჩემი მეგონე!
მერე უეცრად ყველაფერი
გაუფერულდა,
მზეც, ცაც, სამყაროც,
თითქოს წყალიც გამოშრა ხეში,
წახვედი უხმოდ,
მანაცვალე ვიღაცა უცხოს
და გამოწვდილი ყვავილები
შემაჭკნა ხელში...

2014 წ.

თუ კი ერთხელ

თუ კი ერთხელ მოგატყუებს,
გიღალატებს,
გაგიმეტებს, მოგანიჭებს ღრმა
განსაცდელს,
ნუღარასდროს ნუ ეცდები
დაბრუნებას,
ნუღარც მოსთხოვ ხელმეორედ
ერთგულებას.
ოქროს კაბაც რომ მოაცვა
შიშველ ტანზე,
სულ ერთია, მაინც გაგცვლის
ვიღაც სხვაზე.
ვისაც შენზე უფრო შემძლეს
დაიგულებს,
მას მიართმევს ფარისევლურ
თაიგულებს.

2014 წ.

სამოცჯერ

სამოცჯერ დადგა გაზაფხული,
შევიცან, შევიგრძენ ფერები,
დავკრიფე ფერდობზე იები,
დაბრუნდნენ ჩემს ბანზე მერცხლები.
სამოცჯერ მეწვია ზაფხული,
სიმწვანით, ცოცხალი ფერებით,
ვეფერე, ვეცეკვე ლურჯ ნაპირს,
დავლაშქრე მინდვრები, ველები.
სამოცჯერ ჩაიცვა ბუნებამ,
წითელი, ყვითელი სამოსი,
ვაშველე ხელები, ვუფრთხილდი,
ხის ფოთლებს უდროოდ ჩამოყრილს.
სამოცჯერ თეთრგულა ზამთარმა,
მაყარა ზეციდან ფიფქები,
ბუხარში ანთილმა კოცონმა
აშალა, აყარა ფიქრები.
ნელ-ნელა დავყევი თავდაღმართს,
ხმელ ფოთლებს მიფენენ ვერხვები,
გაზაფხულს, ზაფხულს ან თეთრ ზამთარს
ნეტავ, კვლავ რამდენჯერ შევხვდები?

2014 წ.

რატომ „დაისი"

რატომ დაისი! -
როცა გული კვლავ
ბავშვივით ძგერს,
თვალები სითბოს, სიყვარულს
და სიკეთეს აფრქვევს,
რატომ დაისი! -
როცა აზრი აისს მიგიგავს
და ერთი შენი ლექსის სტროფი
ამბობს ბრძნულ სათქმელს?!
ვიდრე სიცოცხლის
სიხარულს გგვრის
ცაზე აისი,
გწამდეს მრავალი დაგიდგება
აპრილ - მაისი!

2014 წ.

ნუ დამიძახებ

ნუ დამიძახებ, მაინც ვერ მოვალ,
ვერ შევეხები შენს ბროლის თითებს,
შენც ვერ დამადებ თავზე თბილ ხელებს,
ვერ მეტყვი შვილზე სალოცავ სიტყვებს.
ნუ დამიძახებ, დედი, ძახილზე,
ვერ გაგაგონებ, ხმა მეყინება,
ვერ დაგინახავ, ვერც ჩაგეკვრები,
ავტირდები და შენ გეწყინება...
როგორ მიჭირდა უშენოდ, დედა,
სიზმრად გეძებე, ცხადში გეძახე,
ჰოდა, დავრწმუნდი, წახვედი ჩემგან,
ახლა კი, დედა, ნუ დამიძახებ!..

01. 07. 2014 წ.

****

როცა შენი ბედი მანდე,
შეგიკედლე, შეგიფარე,
შენი ტვირთი ტვირთად ვზიდე,
მოგეფერე, შეგიყვარე.
სიკეთისთვის ჩუმი მტრობა,
დამიკარგე რწმენა, ნდობა.
ნუთუ, ასეთი ძნელია,
მეგობრისთვის მეგობრობა?!
შენი წილი გული ტირის,
მოთმინება მომეც, ღმერთო,
მოგიტევებ, გაპატიებ,
მაგრამ ისევ, როგორ გენდო?

2014 წ.

მე შენთან ვარ

ვხედავ, როგორ მოგეღრუბლა
ახლა სახე,
შვილო, როცა სახლში
ვეღარ დამინახე...
ნუ იდარდებ, მე შენთან ვარ,
აქვე, ახლოს,
როცა დედა გენატრება,
როცა გახსოვს.
ეს ცხოვრების კანონია,
გარდუვალი,
მოხვიდე და მოიხადო
შენი ვალი,
სიყვარულით ვერ მაძღარი
უკან წახვალ,
სანთელი არ ჩამიქრება
ვიდრე მყავხარ.
ნუ იდარდებ, მე შენთან ვარ
აქვე, ახლოს,
როცა დედა გენატრება,
როცა გახსოვს.

2015 წ.

საახალწლო

გამთლიანდეს ერი,
დაითრგუნოს მტერი,
აყვავდეს და გაძლიერდეს,
იმერ - ამიერი!
ოსო და აფხაზო ძმებო,
კვლავ ჩავჭიდოთ ხელი,
ისევ ერთად ვაგუგუნოთ
მრავალჟამიერი!..

01.01.2015 წ.

„ვერმიხვედრის“ როლი

ვითამაშე "ვერმიხვედრის" როლი,
ვერც მივხდი და ვერც გავიგე, ვითომ,
სიკეთის და ერთგულების ფასად -
არავისგან საზღაურს არ ვითხოვ.
დავიბრმავე, მოვუხუჭე თვალი,
ავ სიტყვაზე მოვიყრუე ყური,
არ მინოდა დამეკარგა, მაგრამ
არაფრით არ გაისწორა გული.
შეეჩვია ახლობელი ყველა,
რომ სულგრძელად მივუტევებ წყენას,
არასოდეს არ გავქექავ წარსულს,
ტკივილით არ დავუბრუნებ ტკენას.
ვერც ვინ ჩაწვდა "ვერმიხვედრის" თამაშს,
ამ თამაშში დამიმძიმდა სული,
ათასჯერ რომ ჩამიკალი გული,
როგორ შევძლო, ისევ, სიყვარული?!

2015 წ.

60 წელი

ისე გავიდა სამოცი წელი,
სამოცჯერ დათვლაც ვერ მოვასწარი,
მართლაც წუთია წუთისოფელი,
სულ ერთი ბეწო, პატარა წამი.
ბრძოლა-ჭიდილში, სიცილ-ტირილში,
დრო ისე ჩუმად, სწრაფად გასულა,
ვერც კი გავიგე შემოღამება,
აგრილებულა, მზეც გადასულა...
უკან მოხედვის არ მეშინია,
გზა სუფთა იყო, საქმე - კეთილი,
მძიმე აღმართი უკვე ავლიე,
ტკბილი სიბერე მაქვს შეკვეთილი.

13. 03. 2015 წ.

მენატრები დედა

შენს საფლავზე ამოსულა ია,
ენძელასაც დაუხრია თავი,
ქვაზე ნაკვეთ თბილ, თაფლისფერ თვალებს,
ძლივს შევძელი, გავუსწორე თვალი...
მოგეხუტე, დაგიკოცნე სახე,
სევდიანი, ნაზამთრალი, ცივი,
ჩვენნაირად ყვავილებიც თრთიან,
თითქოს გრძნობენ დედაშვილურ ტკივილს,
თანაგრძნობას გვიცხადებენ თორემ,
უხარიათ გაზაფხული თბილი.

03. 03. 2015 წ.

მგონია, რომ ბავშვობაში დავრჩი

მგონია, რომ ბავშვობაში დავრჩი,
კიდევ კარგი, რომ ვერ ვხედავ ჩემს თავს,
ალბათ, ასე სულ ვიქნები ბავშვი,
ვიდრე გული საგულეში ფეთქავს.
სულ მგონია, ვერ იკადრებს ტყუილს,
მითუმეტეს - დაფიცებას ჯვარზე,
გულუბრყვილოდ გამიჩნდება რწმენა,
მერე ვწყრები ჩემს საკუთარ თავზე.
არა, მართლა ბავშვობაში ჩავრჩი,
მერამდენედ ვუბრაზდები ჩემს თავს,
ქურქი მაინც მომეხურა მგელის
ვიდრე თავად დამასწრებდა შეჭმას.

26. 03. 2015 წ.

მიყვარხარ დედა

დღესაც ისეთი დღეა,
შენ რომ დატოვე, დედა,
მაისს დაცვივდა წვიმად,
შენი დაკარგვის სევდა.
ვერ გამინელა წლებმა,
შენით ტკივილი, დარდი,
ასე მგონია შენ ხარ,
როცა ყვავილობს ვარდი...
როცა ჭიკჭიკებს ჩიტი,
როცა ღუღუნებს მტრედი,
როცა იშლება კვირტი -
სულ შენ მგონიხარ, დედი!
მხოლოდ მაისმა იცის,
როგორ მციოდი, დედა,
როგორ მაწვიმდა სულში,
შენი დაკარგვის სევდა.
ვერა, ვერ შესძლეს წლებმა,
შემსუბუქება სევდის,
რაც უფრო გადის ხანი,
მეტად მაკლიხარ, დედი.

02. 05. 2015 წ.

შემოდგომა

მართლაც ბუნების გედი ხარ,
ბოლო სიმღერას მღერიხარ,
ქარვისფრად მკერდმოქარგული,
ბაჯაღლო ოქროს ფერი ხარ.
ხვავიან - ბარაქიანო,
ჩამტკბარო, მტევნებიანო,
ფარფატა ფოთლებიანო,
მზიანო, ხან სუსხიანო,
საოცარ ჰანგთა ნაზავო,
მართლაც ბუნების გედი ხარ,
ზამთარის გულისფრიალო,
ო, რა ტკბილი ხმით მღერიხარ!

15. 10. 2015 წ.

აღარ მეწერება ლექსი

აღარ მეწერება ლექსი,
თითქოს გამითავდა რითმა.
ცხოვრებას უაზროდ შემლილს,
ვერ შევუსადაგე სიტყვა.
წარსული მონატრებად მექცა,
აწმყოში ვერ ვპოვე შვება,
მომავალს ეჭვის თვალით ვუცქერ,
დავკარგე ნდობა და რწმენა.
ყველამ გამაწბილა ბოლოს,
ვისაც ქვეყნის ბედი ვანდე,
ყველა მოღალატე მომწყდით!-
აღარ მოვეგები ბადეს!..
მე ჩემი სამშობლო მინდა,
თავისუფალი და ლაღი,
არა მორჩილი და მონა,
წელში გამართული ხალხი!

2015 წ.

აღარ მსურს თმენა

მომწყინდა სმენა,
აღარ მსურს თმენა,
შევწყვიტოთ შური,
ბოღმა და წყენა.
მოწყდით სავარძლებს
გამოდით გარეთ,
შეხედეთ ქვეყნის
მოღებულ კარებს!
დაუცველ კერებს,
დაუცველ ქალებს,
დაუცველ სოფლებს,
დუცველ ბავშვებს,
ნიქოზს თუ კნოლევს,
ავნევს თუ ავლევს,
მტერი, ყოველდღე,
მავთულხლართს ავლებს!
ჩვენ კი ერთმანეთს
ვკორტნით და ვხოცავთ,
გაგვიწყრა ღმერთი,
არ გვიჭრის ლოცვაც,
მოვეგოთ გონზე,
ერიც და ბერიც,
ვიდრე ქვეყანას
გაგვტაცებს მტერი!
დამონებული,
დამცირებული,
გაოგნებული,
ისევ ვცემ ბოლთას
და ჩვენი მოთქმით,
შეწუხებული
მთელი ევროპა
„შფოთავს...''და
„შ ფ ო თ ა ვ ს !''

2016 წ.

****

ღმერთო, ისე ნუ მიმიყვან სამარემდე,
ვერ ვიხილო ივერიის გაბრწყინება,
საქართველოს ქართველი რომ პატრონობდეს,
მე სხვა ერის მფარველობა არ მჭირდება!
ღმერთო, ისე ნუ გამიყვან ამ ქვეყნიდან -
გიხაროდეთ, დავბრუნდითქო - ძმას ვერ ვუთხრა,
აფხაზეთის ზღვის ნიავი ვერ ვისუნთქო,
სამაჩაბლო რომ არ იყოს ამოსუნთქვა!..
ღმერთო, ისე ნუ გამიყვან, დამანახვე,
დავითის და თამარ მეფის ივერია,
ერთი წუთით აღარ მინდა მე სიცოცხლე,
თუ ტყვეობა სამუდამოდ მიწერია!

2016 წ.

მეც ბუნების ნაწილი ვარ

იანვარმა გამომავლო პირში ჩალა,
თებერვალმაც დამინანა ციდან ფიფქი,
თეთრი ფერით აფეთქდება მალე ჭალა,
მარტმა უკვე გადმოფინა ყვითლად შინდი.
როგორ ვუძლო ხელმეორედ გაცოცხლებას,
გავუსწორო ატმის კვირტებს თვალში თვალი,
თავბრუს მახვევს გაზაფხულის სურნელება,
დავბარბაცებ ყვავილნარში, როგორც მთვრალი.
ბოლო - ბოლო, მეც ბუნების ნაწილი ვარ,
თანაც ქალი...

2016 წ.

იმერეთში გაზაფხული

გაფიფქულა, თოვლისფერად, ტოტი ტყემლის,
მარტის ხელი კუთხე-კუნჭულს დამჩნევია,
შეფერილა ეზო, კორდი მწვანე-თეთრით,
კორდოხებსაც იისფერი გასჩენია.
მოდის, მოდის საოცარი აფეთქება,
ფერად კენჭებს ახმაურებს ნაკადული,
მალე ბაღში ვარდის ბუჩქიც აყვავდება,
მობრძანდება იმერეთში გაზაფხული!
დედის ხელით დარგული და ნაფერები,
ჩემს ეზოშიც იყვავილებს თეთრად ვაშლი,
ისევ ისე, ძველებური თავყრილობით,
ყაყაჩოც და ნარცისებიც ფურცლებს გაშლის.
მოდის, მოდის საოცარი აფეთქებით,
ჭრელა-ჭრელა ყვავილებით დაქარგული,
ფრინველთ-მღერით, ყვავილთ-ცვენით
მ ო ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ა ,
იმერეთში თვალხატულა გაზაფხული!

2016 წ.

ვერ ჩაგიშვებ ზღვაში, მზეო

ვერ ჩაგიშვებ ზღვაში, მზეო,
სულ მინდა, რომ ჩემთან მყავდე,
შენთან ერთად ვისეირნო,
ჩასვლამდე თუ ამოსვლამდე.
ჩაგეკვრები, წამოგყვები
მთიდან - მთამდე,ზღვიდან - ზღვამდე,
მინდა ხელის გულზე მყავდე,
თუნდაც მწვავდე, ოღონც მწამდე,
შენ გელოდო, შენ გიცქირო,
ჩასვლამდე და ამოსვლამდე!

14.08.2016 წ. /ქობულეთი /

გასეირნება პირველწყალზე

წიფლის, წაბლის ხეივანმა,
მთის ბილიკმა საცალფეხომ,
მიმიზიდა, გამიტაცა
ვსდიე ვიდრე ძალა მეყო.
აღმართი და თავდაღმართი,
გზა-გზა მწვანედ ბრწყინავს ძმერხლი,
თავზე მთების ჭერი მხურავს,
პირველ წყალზეც ჩავდგი ფეხი!
გვიმრის სუნი, წყლის ჩხრიალი,
მთის სიწმინდე, სისუფთავე,
წლობით დანისლული გული,
წამში ამოვისუფთავე!

28. 08. 2016 წ.

კესანები

ფონის გზაზე ცისფერთვალა კესანებმა,
ისე ვნებით, ისე გულით შემოგვცინეს,
მივეახლეთ, შევუბედეთ მოფერება,
ვესალბუნეთ მოცისფრებულ ტყის ნაპირებს.
მერე თვალი გაიტაცეს მწვანე მთებმა,
თოთქ ფოთლებზე მოციმციმე მზის სხივებმა,
მოლზე თეთრი ბრილიანტის ყვავილობამ,
ყვითელ ფერად მოთამაშე ბაიებმა.
სილამაზემ სიხარულით აგვიტაცა,
მიხვეულმა - მოხვეულმა ფონის გზებმა,
სიყვარული და სიცოცხლე გაგვიახლეს -
კესანებმა, ცისფერკაბა კესანებმა...

24. 04. 2016 წ.

დამელოდები

დამელოდები, ვიცი, ისევ
დამელოდები,
თვალებმა გაგთქვეს, სიყვარულით
რომ გამაცილეს.
მეც დავბრუნდები, უეჭველად
დაგიბრუნდები,
არც გალოდინებ, არც გადარდებ,
არც გაგაწბილებ...

2016 წ.

მე დღეს წვიმამ

მე დღეს წვიმამ ის ზაფხული მომაგონა,
სოფლის გზაზე კარდაკარ რომ დავდიოდით,
თმებზე ღვარად დაგვდიოდა თბილი წვიმა,
მაგრამ ერთად ვიყავით და არ ვჩიოდით!..
სულ მინდოდა, უსასრულოდ რომ ეწვიმა,
კაბა სველი, ფეხზეც სველი - სულ დავქროდი,
არავინ და არაფერი არ მახსოვდა,
შენ მყავდი და აბა მე სხვას რას ვჩიოდი!
ახლაც მაწვიმს მე ზაფხულის თბილი წვიმა
სახეს ვუშვერ, დამისველოს მინდა თმები,
რომ იცოდე, ის დღეები, როგორ მიყვარს!..
შენ და წვიმა - უსაშველოდ მენატრებით...

10. 06. 2016 წ.

მინდა გავექცე

მინდა, გავექცე უგულობას,
უმადურობას, უსულობას
მინდა, გავექცე!
გაუტანლობას, ქედმაღლობას,
უგნურებას, შურს და ბოღმას
მინდა, გავექცე!
რომ ვერ ვხედავდე უზნეობას,
ურწმუნოებას, უვიცობას
მინდა, გავექცე!
მაგრამ სად, ღმერთო ?! ...
მომეხმარე, რომ არ დავეცე...

2016 წ.

ემიგრანტ შვილს

ახლა ისევ წვიმებია,
გარეთ ცივა.
აღარ მწყალობს ცისფერთვალა
თვალციმციმა...
წელიწადმა მოიარა
მთა და ბარი,
მე კი ისევ გელოდები,
კართან მდგარი.
ო, რამდენი გაზაფხული
გავისტუმრე,
ო, რამდენი ზაფხული
და შემოდგომა,
ო, რამდენჯერ დამასველა
ცივმა წვიმამ,
ო, რამდენჯერ დამათოვა
თეთრად თოვლმა!
ისევ, ისევ, ისევ,
ისევ წვიმებია,
წელიწადმა მოიარა
მთა და ბარი,
მე კი ისევ, ისევ,
ისევ გელოდები,
გელოდები... გელოდები
კართან მდგარი.

16. 10. 2016 წ.

მე ისეთი რა უნდა ვთქვა

მე ისეთი რა უნდა ვთქვა,
რომ არ უთქვამთ,
ვის შევკადრო შეტოლება -
შოთას, ვაჟას?!
ვინ გალექსავს, უკეთესად,
მიჯნურობის,
მეგობრობის თუ გმირობის
უკვდავ ამბავს?!
ვერც ვერავინ ვერ იფიქრებს
მტკვრის ნაპირას,
ისე სევდით, ისე ტრფობით,
ისე გულით,
ვერც ვერავინ გააჭენებს
ლურჯა ცხენებს -
ვერც მამულის და ვერც სატრფოს
სიყვარულით!
მაგრამ თუკი მეც პატარა
სათქმელი მაქვს,
ჩემი სულის ნაშფოთი და
ნაფიქრალი,
ნუ გამკენწლავ, გამიგე
და მომისმინე,
თავს არ გახვევ, გრძნობებია
ნიავქარი.
სიყვარული და სიკეთე
სადაც ზეობს,
იქ ყველას და ყოველივეს
ეშველება!
ოღონდ კაცის სასიკეთოდ
დაიწეროს
დაე, წეროს - ვისაც
როგორ ეწერება.

2016 წ.

აზრი დაკარგა

აზრი დაკარგა გათენებამ...
სულერთია, მაინც სიბნელეა.
მთელი ცხოვრება ხომ ომი იყო,
უფრო უარესი სიბერეა...
ცაზე ბოროტება ეტლით დაჰქრის,
წარმატებულია, ხარხარებს.
თვალცრემლიანია ანგელოზი
სიკეთეს რომ ვეღარ ახარებს...
მნიშვნელობა არ აქვს გათენებას,
სულერთია, მაინც სიბნელეა...
მთელი ცხოვრება ხომ ომი იყო,
უფრო უარესი - სიბერეა ...

29. 01. 2017 წ.

****

მზემ შეიჭყიტა სულში,
ზამთრის სიცივე დახვდა,
დათბა, ყვავილობს ნუში,
მე მაინც მცივა, რა ვქნა!
სითბოჩაღვრილი კვირტი,
ნუგეშს ითხოვს და შველას,
გაბრიყვებულად ვცანი,
ვერ მომიბრუნდა ენა...

17. 03. 2017 წ.

****

ყველაფერი მომწყინდა,
ყველაფერმა დამღალა,
ბედის უკუღმართობამ
მომდრიკა და დამღარა!
უსულგულობას ვნატრობ,
რომ არავინ მიყვარდეს,
ვერც ვერაფერს ვხედავდე,
არც მესმოდეს სიმართლე!
რა პატარა ყოფილა,
ჩემი დიდი ოცნება,
ვარსკვლავს ვეტანებოდი,
თურმე, არც მეცხოვრება...

2017 წ.

ვერ ვუთანაგრძნე

ვერ ვუთანგრძნე, თუმცა მზად ვარ
სიცოცხლეც კი ვაჩუქო ჩემი.
ირონიაა, არ დამინდო,
დამცინის ბედი!..
უცხოს სატკივარს,
შემიძლია წამლად დავედო,
ჩემს სანატრელს კი -
ვერ ვუთხარი რამ საიმედო...
დაჭკნა სხეული...
ცრემლი უკან ჩამედინება,
თმის ღერიც მეწვის,
თვალზე რული არ მეკიდება,
არადა, ჩემი სიყვარული
ნუგეშს, იმედს მთხოვს,
ვერ ვუთანაგრძნე,
უფრო მეტად
რა ეტკინება ?!

02. 04. 2017 წ.

ყვავის მსხალი

ყვავის მსხალი!.. ვინ რა იცის,
მერამდენე აპრილს ხვდება,
მთავარია, საოცარი აფეთქებით,
ჩემს ქუჩას და ჩემს აივანს რომ უხდება!
გადავხედე, თვალი ვეღარ მოვაშორე!
შემომცინა, გამიშალა თეთრად გული,
მომაყარა ყვავილების ზღვა ფიფქები,
მაგრძნობინა უნაზესი სიყვარული!
იყვავილებს, მერე ნაყოფს გამოიღებს,
ქარვისფერად დამწიფდება, დავარგდება,
ამ ცხოვრების გარდაუვალ ადათ-წესებს
უთქმელადაც, უსიტყვოდაც მოგიყვება!
ერთნაირი ცხოვრების გზა გაგვივლია,
ყადრი მასაც არასოდეს უხუნდება,
აღმოცენდა, იყვავილა, ინაყოფა,
ბოლოს ისიც იმავ მიწას უბრუნდება...
ყვავის მსხალი!.. ვინ მოითვლის,
მერამდენე აპრილს ხვდება,
მთავარია, საოცარი აყვავებით,
ჩემს აივანს და ჩემს ყოფას რომ უხდება!

20. 04. 2017 წ.

რა უნდა ამ გულს

მალე ფანჯარას ნისლისფერი
რიჟრაჟი დაჰკრავს,
ჩიტებმა უკვე გათენება
იმხიარულეს,
თრიალეთიდან მზე გადმოშლის
ოქროსფერ დალალს,
ჭალის უბნიდან გადაკარგავს
ღამის ავსულებს...
და მეც ავდგები, ფიქრებისგან
ღამენათევი,
უხმოდ, უჩუმრად შევერევი
ქალაქის ხმაურს...
თავს მერამდენედ ვეკითხები,
პასუხს დავეძებ, -
რა არ ასვენებს, რა სწადია,
რა უნდა ამ გულს ?!
ადამიანის თუ ფრინველის
მესმის ხმაური
ვიცი, სიცოცხლის, სიყვარულის,
სიკეთის ყადრი!
ვხედავ, ვაზროვნებ, გავცემ, ვიღებ
მიყვარს, ვუყვარვარ,
რა მაქვს სანაღვლო
ყველაფერი თუ კარგად არის ?!...
მაგრამ რა ვქნა თუ შემჩვევია
მე მაინც დარდი
ვგრძნობ, რომ სიმშვიდე
მაფენია სახეზე ყალბი,
რადგანაც ომში დაღუპული
ძმების მკლავს დარდი,
რადგანაც ერში გაჩენილი

ბზარის მაქვს დარდი.
რადგან მაშინებს არ დავკარგო
თავისუფლება!
რადგან არ მინდა შემილახონ
რწმენა, ღირსება!
რადგან მე მსურს რომ გამოვხატო
კეთილი ნება, -
ხალხის ერთობას მსახურებდეს
ჩემი არსება!
ასე დავდივარ, ფიქრებისგან
ღამენათევი,
უხმოდ, უჩუმრად ვუერთდები
ქალაქის ხმაურს...
და უკვე ვიცი, ეს სიმშვიდე
არის სიყალბე
და დარდი ჩემი არასოდეს
დატოვებს ამ გულს...

2017 წ.

იმ პატარა სახლში

იქ , იმ პატარა სახლში
ცხოვრობს ადამიანი…
ფაქიზი, ნაზი, სიფრიფანა,
ლამაზი, მშვიდი.
კარს რომ გამიღებს,
გაიხარებს და შემიფარებს -
ჩემი ფიქრებით, ჩემი დარდით,
ჩემი ტკივილით…
მთელი ჩემი არსებობით
რომ შემიყვარებს ...
რა გვაქვს საერთო?! -
პოეზია გვაერთიანებს!
პოეზია ყველაფრის მთქმელი,
ყოვლის მომცველი,
სულის შემძვრელი
სიყვარულის,
პირადის, წრფელის,
ერის, ქვეყნის,
მეგობრობის,
ხის თუ ბალახის,
სიყვარული
გვაერთიანებს!
იქ, იმ პატარა სახლში
ცხოვრობს ადამიანი,
ისე უჩუმრად,
უხმაუროდ, თითქოს
არც ცხოვრობს,
მაგრამ თავისი
არსებობით გეძახის,
ყვირის, -
რომ შეუძლია
ჩემს სიხარულს
თუ ყოველ ნაღველს,
აღტაცებას თუ

უთქმელ სათქმელს
ეცხოს მალამოდ,
უმკურნალოს
სულს - ნაიარევს.
ათასჯერ ნათევ ღამეების
ამოხსნას არსი,
შეგაცნობინოს
უანგარო სიყვარულის და
კეთილის ქმნის
ნამდვილი ფასი!
დაუკითხავად
რომ ვუღებ კარს და
ჩემი ყოფით, არსებობით,
გულს რომ ვუხარებ,
რა გვაქვს საერთო?!
პოეზია გვაერთიანებს!
ჰოდა, ახლაც, აი, ამ წუთში,
მე ვაქროობ სანთელს,
ვხურავ ჩემი საყვარელი
აივნის სარკმელს,
ჩემი სათქმელით
და ლექსებით
გულანთებული
ავრბივარ კიბეს,
დაუკითხავად
შევუღებ კარებს...
რატომ, რა მინდა,
რა მენატრება?!
აი, ამ სახლში,
მხვდება მე ის ადამიანი -
ფაქიზი, ნაზი, ლამაზი, მშვიდი,
ერთი პატარა სიფრიფანა...
გულში მიხუტებს,
წვდება ჩემს აზრებს...
რა გვაქვს საერთო?!
ძალიან ბევრი, მეგობარო,
ძალიან დიდი! -
პოეზია გვაერთიანებს!..

2017 წ. /მაისი/

ვიცი გულით ინატრებდი

ვიცი, გულით ინატრებდი,
ყოფილიყავი მთიელი,
დაგენახა, ტყის ფერდობზე
როგორ ყვავდება იელი!
რას გაიგებს მოთრეული,
უცხო და გადამთიელი,
რად ხარობენ დედის ცრემლზე
ლურჯპერანგება იები!
როცა ხედავ თეთრ გვირილებს
მოუხატავთ მწვანედ ფონა,
ინატრებდი ფონელობას,
დაიკრავდი გულზე ფონად.
შუამთაში, მყვირალობას,
თუ წააწყდი მყვირალ ირმებს,
ინატრებდი ყოფილიყავ
სანატრელზე მონადირე!
რას მიხვდება მოთრეული
მიწის ხარბი ჩრდილოელი,
რა ცნებაა ქართველობა,
მეგრელი თუ იმერელი!
შემიგინეს, გამილანძღეს,
ამიოხრეს მთა და ბარი,
მიწა სისხლით გამიპოხეს
მომიმრავლეს ნასახლარი!
ვიცი, გულით ინატრებდი,
ყოფილიყავი მთიელი,
ხმლით და ფარით გაგერეკა,
უცხო და გადამთიელი!

2017 წ.

საშინელი სიზმარი

ნეტავ, რა გვეაღლუმება,
როცა გულში მოთქვამს ერი,
როცა აქვე, ყურის ძირში
ძმას მიჩოქებს ურცხვად მტერი!
საქართველოს, დიდ რუკაზე,
ძველი ფორმა დაუკარგავს,
აფხაზეთში ხიდი ჩატყდა,
აღმდგენელი არსად არ ჩანს!
ნეტავ, რა გვეაღლუმება,
ნეტავი, რა გვიხარია,
როდის უნდა გავიღვიძოთ,
რეალობაც სიზმარია!
როცა სოფლებს უკვე ქვიათ,
ნასოფლარი, ნაგორალი,
როცა ფეხქვეშ მიწა იწვის,
ნასისხლარი, ნაომარი...
ნეტავ, რა გვეაღლუმება,
ნეტავი, რა გვიხარია,
როდის უნდა გამოვფხიზლდეთ,
საშინელი სიზმარია!

26. 05. 2017 წ.

შენ რჩები ისევ

შენ რჩები ისევ გამოუცნობ
და უპასუხო უთვალავ კითხვად,
მივდივარ ისე, არ გამაყოლე,
სანუგეშებლად, არც ერთი სიტყვა!
ალბათ, ვერ ხვდები, როგორ მჭირდები,
ვერ ამჩნევ გრძნობით ანთებულ თვალებს,
მიყვარს შენი მზით გამონათება
გთხოვ, საიმედო მითხარი რამე!
არ შემიძლია იმაზე ფიქრი,
რომ ვერ შეგხვდები, ველარსად გნახავ,
ასე უგრძნობი, ასე გულცივი,
მითხარი, რად ხარ, მითხარი რად ხარ?!
მივდივარ!... ჩემი ნათელი დღენი
განშორების დღით ჩამოვაღამე!...
უშენო დილას, ან რა ფასი აქვს,
ანდა რა არის, უშენო ღამე ?!..

2017 წ.

სიკვდილის მერეც

წავალ და მაინც, იცოდე რომ შენთან დავრჩები,
ნუ გაგიკვირდა, ნურც მკითხავ - ,, როგორ ?! “
სული ჩემი ხომ, ჩემი სული შენთან დავტოვე
სიყვარულზე და სიცოცხლეზე მეოცნებე
პატარა გოგოდ…
როდის მიპოვი? - მაშინ, როცა ვეღარსად მნახავ,
მოგესურვები, მომინატრებ… და იცი როგორ?!
მოძებნი ლექსებს, ჩემი სული რაშიც დავტოვე,
იქ მნახავ შენზე შეყვარებულ,
პატარა გოგოდ...
მერე ვიქნებით ისევ ერთად, გამიხდი ღმერთად,
ხან სევდა მოვა, ხან იწვიმებს, ხანაც იდარებს,
ხან უიმედო სიყვარულის გახდები მსხვერპლი,
გადააწყდები
გულგატეხილ ადამიანებს.
სული სულ ცოცხლობს, არსად მიდის, მეც აქ დავრჩები.
ადამიანის სხეულია, რომ ცვდება, კვდება,
სცილდება სული სხეულს ბოლოს, გაძვალტყავებულს
და ხდება მხოლოდ გარდასახვა - გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა.
მე შენთან ვრჩები, ხომ მიხვდი, როგორ?
ისე, ვით ადრე -
შეყვარებულ პატარა გოგოდ...

2017 წ.

ვერ ვეგუები

**/„ორ უახლოეს ადამიანთა შორისაც იწყება გაუცხოვება,
როცა მათ შორის ვეღარ ხერხდება გულწრფელი საუბარი."/**

ვერ ვეგუები მე შენს სიჩუმეს,
სულ უცხო გახდი, სულს ვეღარ მივსებ,
მოხველ - მზე იყავ თავგადასული,
ჩაქრი - და მარტო დამტოვე ისევ.
ცხოვრება მართლა წამში გავიდა,
თან გაიყოლა, გაცვდა გრძნობები,
მე ძველებურად მიყვარხარ ისევ,
შენ კი რას ფიქრობ, რას ელოდები?!
საკმარისია დაიგვიანო,
თვალი ისევე შენ გზას გასცქერის,
მომნატრებია ბავშვური, წრფელი,
ის სიყვარული - შენგან ნამღერი!
რაც წლები გადის, დრო გვეწურება,
მეტად ჭირდება ძველს დაფასება,
ჭეშმარიტია ის, რაც არ ცვდება
და დროს არ ძალუძს გადაფასება.

2017 წ.

მე შენ მიყვარხარ

მიყვარხარ, მიწავ, მწვანე მინდორზე
მიმობნეული გვირილებისთვის,
მიყვარხარ, მზეო, მაგ სხივებისთვის,
თბილი, ლამაზი გაღიმებისთვის!
მიყვარხარ, ცაო, ცისფერო ცაო,
შენი ფერისთვის, თუნდ ღრუბლებისთვის,
მიყვარხარ, ღმერთო, ამ ყველაფრისთვის,
მომადლებული სიყვარულისთვის!
მაგრამ ყველაზე, ყველაზე ძლიერ
მე შენ მიყვარხარ... ყველაზე მეტად!..
თეთრ გვირილათა ზღვაში დავცურავ,
ვერც კი ვგრძნობ, მარტო რომ ვცურავ, კენტად.
ყველა გვირილას შენს სახელს ვარქმევ,
უკლებლივ ყველა, ყველა შენია,
უშენოდ ვიწნი, ვიმზადებ გვირგვინს,
ყვავილთა ზღვაში რომ დაგრჩენია!
მიყვარხარ მიწავ, მიყვარხარ ცაო,
მადლობა მზეო, მზეო, რომ მყავხარ,
მაგრამ ყველაზე, ყველაზე ძლიერ,
ყველაზე მეტად... მე შენ მიყვარხარ....

04. 06. 2017 წ.

ვიხუტებ ნაჩუქარ გიტარას

ვიხუტებ ნაჩუქარ გიტარას,
დაცურდა სიმებზე თითები,
მიყვარხარ, სადა ხარ, მიყვარხარ!
ამომხდა მალული სიტყვები...
მოწყენით გავცქერი შენს ქუჩას,
მიღიმის გვირილა ყვითელი,
დაბრუნდი, სადა ხარ, მიყვარხარ!
დაცურავს სიმებზე თითები...
მზე ისევ შორს, ზღვაში ჩაცურდა,
თამაშობს ლურჯ ფერზე წითელი,
ნაპირთან მოგიხმობ სიმღერით,
დაცურავს სიმებზე თითები...
...
მიყვარხარ, სადა ხარ, მიყვარხარ!...

2017 წ.

საშველი სად არის

დრო გადის, ზაფხულიც გავიდა,
დადგა შემოდგომა, აგრილდა...
სულ მალე გვეწვევა ზამთარიც,
საშველი?- საშველი სად არის?!

მალე ისევ მოვა გაზაფხული,
დარით შეიცვლება ავდარი,
მოჰყვება ჭრელ-ჭრელა ზაფხულიც
საშველი?! - საშველი სად არის?!

წლებმა უსწრაფესად ჩამიქროლა,
გაზაფხული...ზაფხული...ზამთარი...
გულში კი სულ არის შემოდგომა,
საშველი?! საშველი სად არის?! ...

2017 წ.

წვიმს

წვიმს... შემოდგომამ გადმოყარა
ოქროს ცრემლები,
მეც უნებურად და უაზროდ
ცრემლები მცვივა...
მთელი არსებით ვუერთდები
ცივ, წვრილ, ხშირ წვეთებს,
სხეულს შიგნითაც რომ მასველებს
ოქტომბრის წვიმა.
“რატომ, ან რისთვის ?!” -
ჩამომძახის ქვეცნობიერი,
მოჰყვება წვიმას, ტვინს მიბურღავს
ეს ორი კითხვა,
დაძრწის, დამცინის, ფორიაქობს,
სისხლს მიმღვრებს, მებრძვის
და არ ამომდის საპასუხოდ
არც ერთი სიტყვა!
„ რატომ, ან რისთვის ?! “ - ვიმეორებ
„ რისთვის, ან რატომ ?! “-
ეს მერამდენედ ვეკითხები
ცივ, წვრილ, ხშირ წვეთებს,
ქუჩის ნაპირზე ჩამოცვენილ
ოქროსფერ ფოთლებს,
ქარისაგან შეურაცხყოფილს
ჩემს თავს ვადარებ...
...
გულის ჯავრს ვიყრი...
უდიერად ვაბიჯებ ფეხებს...

10. 10. 2017 წ.

ძილის დროა

ძილის დროა... თვალს ვერ ვხუჭავ,
გამეჯიბრა თითქოს ღამეც,
გაიზმორა, გადაბრუნდა,
მის მაგივრად ვქაჩავ თვალებს...
ძინავს, ფშვინავს უდარდელად,
მე კი ვგავარ განაწამებს...
თავს რიჟრაჟი წამოაწყდა,
შეუცვალა სამოსელი,
ქუდიც კი ვერ დაიხურა,
ისე გარბის თავშიშველი.
დილის ძილი მიწყალობა,
ძლივს მოვკარი მთებზე თვალი,
ფიქრებს თავი გამოვტყუე,
დამიბრუნა მცირე ვალი.

2017 წ.

ჩვენი ქუჩის ალუბლები

ჩვენს ქუჩაზეც მოვა მალე გაზაფხული,
აყვავდება, ისევ თეთრად, ალუბლები,
ვიცი, ვიცი შენც გაზაფხულს გამოჰყვები,
დაბრუნდები!..
ხელს ჩავკიდებთ, გავუყვებით თეთრ ხეივანს,
მერე ვივლით, ასე ერთად, გამუდმებით,
ჩვენს სიყვარულს გაიხდიან შემდეგ კერპად -
ჩვენი ქუჩის ალუბლები...
ველოდები, ვიცი მოვა, მალე მოვა,
ჩვენს ქუჩაზეც მალე მოვა გაზაფხული,
მერე დიდხანს, საჩურჩულოდ დაურჩებათ,
თეთრ ალუბლებს ჩვენი დიდი სიყვარული!..

2017 წ.

ერთ თბილ სიტყვას

თუ მშვიდი და წყნარი ღამე
ჯოჯოხეთად გამიხდება,
თუ არაფრად აღარ მიღირს
მზის ამოსვლა, გათენება,
თუ იმედი გამიცრუვდა,
თუ მომავლის გაქრა რწმენა,
აღარ შემრჩა მოთმინება,
მომერია დარდი, წყენა...
რა უნდა ვქნა?! ეჰ, რას ვიზამ,
ვიღაცისგან მინდა შველა!
მაგრამ ვისგან, ვინ მიშველის?!-
ვინც მომაგო მე ეს ტკენა.
თვით სამყაროც, რომ მაჩუქონ,
მაღიარონ ერთადერთად,
არაფერი არ მჭირდება,
ვინც არ მიყვარს, მასთან ერთად!..
სასურველის იმედი და...
ყველაფერი შეიცვლება,
დაბრუნდება დაკარგული,
ყველაფერი დაბრუნდება!
დაღამდება მშვიდად ღამე,
უშფოთველი, თბილი, წყნარი,
ციდან გამიღიმებს მთვარე,
მიჩურჩულებს - ის აქ არის!
ჩემთან არის!? - ქრება წყენა,
შეეცვლება დილას ენა,
ერთ თბილ სიტყვას შეუძლია,
ზოგჯერ, ჩვენი გადარჩენა!

2017 წ.

ობობასავით ვაბამ თეთრ ფიქრებს

ობობასავით ვაბამ თეთრ ფიქრებს...
ვქსოვ უსასრულოდ, ბოლოს ქსელში თვითვე ვებმევი,
ობობამ, იცის მაინც, სად დაიწყოს, სად დაასრულოს,
მე კი, ჩემივე უსასრულო ქსელშივე ვრჩები...
მაინც რა არის ეს ცხოვრება, კაცის სიცოცხლე,
ფიქრი და დარდი, განსაცდელი განუზომელი,
გგონია თითქოს მიაგენი გასასვლელ ბილიკს,
მოიხედავ და თავიდანვე გაქვს გასავლელი.
ჩემი ფიქრებით დავემსგავსე მართლაც, ობობას,
განსაცდელებით ვქსოვ და ვაბამ მუდმივად ფიქრებს
და უფლისაგან გადაწყვეტილ, ჩემს წილ ცხოვრებას,
ობობას ქსელში გამომწყვდეულ მწერივით ვითმენ.

2017 წ.

იყავნ ნება შენი, ღმერთო

თუ ვერ განვლე გზა მართალი,
თუ კარგის წილ ავიც მერგო,
თუ ვერ ავცდი ღრმა განსაცდელს-
იყავნ ნება შენი, ღმერთო!
თავს ზემოთ ძალა აღარ მაქვს,
ისიც მიმძიმს ბედს მივენდო,
სხვის ცხოვრებას ვინ განკარგავს?!-
იყავნ ნება შენი, ღმერთო!
შვილს გააჩენ სიყვარულით,
გინდა, მისთვის ცეცხლად ენთო,
თუ მას თავის ცხოვრება აქვს?!-
იყავნ ნება შენი, ღმერთო.
არც პირველი, არც ბოლო ვარ,
ჩემს წილ სანთლად უნდა ვენთო,
უფალს ვმადლობ, რაც მიბოძა-
იყავნ ნება შენი, ღმერთო!

17 .12. 2017 წ.

მალე

მალე მარტი მზეს ჩაუფენს დამშრალ კვირტებს,
მიმოზებიც დაისხავენ ყვითელ ქულებს,
ვინ - სიცოცხლის დაბრუნებით იხალისებს,
ვინ - მიუტანს სატრფოს საფლავს თაიგულებს.
ასე მოვა, მერე სწრაფად გაფრინდება,
გაზაფხული ჩაიქროლებს ყვავილთცვენით,
დრო გამთელავს, ამ ცხოვრების მძიმე ჭაპანს
მათრევინებს ხან სიმღერით, ხანაც ცრემლით...
რაც არ უნდა მოვინდომო, ვერც რას შევცვლი,
შევხვდები და გავაცილებ გაზაფხულებს,
შევიყვარებ მზეს, სიცოცხლეს, მარტის კვირტებს,
დანანებით დავიტირებ დაკარგულებს.

2018 წ.

ადამიანთა გულცივობით ვარ ნამცივნები

მარინა ლონღაძე

დაფიქრებული მივუყვები
ძველ სანაპიროს,
მდინარეც ჩუმი დაფიქრებით
წინ მისწრებს, მიდის.
აყვავებულან გზა - გზა
თეთრად აკაციები -
გრძელჩვილფოთლება,
თავდახრილნი, ნაზნი და მშვიდნი.
შემოხვევიან თეთრ ყვავილებს
გუნდად ფუტკრები,
და ისრუტავენ ბასრი ნექტარით,
გემრიელ სურნელს,
უფალი ჩვენი, მცენარეს და
მწერსაც ათავსებს,
აცხოვრებს ასე, სასარგებლოდ
ჩახუტებულებს.
ჩვენ კი?!... რა მოგვდის,
რა გვაცდუნებს ადამიანებს ?!
გაჩენის დღიდან ვღალატობთ და
ვემალვით გამჩენს,
ვერ შეგვათანხმა... ვერ გვარიგებს
ბოღმა და შური,
გამეტებით და სიძულვილით
ვთრგუნავთ ერთმანეთს.
განა, რამდენჯერ ჩავუყვები
ამ სანაპიროს!..
ეს მდინარე კი - გამუდმებით
სულ ასე ივლის...
თუკი ამ ქვეყნად, მცენარეც და
მწერიც თავსდება
ჩვენს შორის რატომ ჩატეხილა
მუდმივად ხიდი ?!

ნუთუ, ამისთვის გაგვაჩინა
უფალმა ქვეყნად,
რომ დღენიადაგ ერთმანეთის
სული ვამწაროთ,
ვერ შევიფეროთ, ვერ შევირგოთ
სიცოცხლე ტკბილი,
გამორჩეულებს ნაცარი და
მტვერი ვაყაროთ?! ...
დაფიქრებული მივუყვები
ძველ სანაპიროს,
აყვავებულან გზა-გზა
თეთრად აკაციები,
მე კი - რას ვიგრძნობ
ბუნების ამ მშვენიერებას,
ადამიანთა გულცივობით
ვარ ნამცივნები...

20. 05. 2018 წ.

მე ზღვა მქვია

ზღვის ჰაერი, თბილი, ნაზი,
მოგოგმანებს მშვიდად ტალღა,
მომეფერა, დამისველა
ჩემი თეთრზე თეთრი კაბა.
მზე ამოდის ვარდისფერად,
ზღვა ლურჯ თვალებს აფახურებს,
მე ბავშვივით ისევ ვხტუნავ,
ვამჩნევ ქვიშას ნაფეხურებს.
ზღვა მქვია და მეც ზღვა მიყვარს,
ხან მსგავსად ვარ მშვიდი, წყნარი,
ხანაც მისებრ ავღელდები,
როცა, დამიბერავს ქარი...
ზღვის ბლანტ სითხეს ვეფერები,
მკლავებს ვუსვამ, ღრმად
მივცურავ,
ნეტავ, მზის დაისად ვიქცე,
მის გრილ ფსკერზე ჩამაცურა.

2018 წ. / ქობულეთი /

შემოდგომის რაჭა

ჩახატულა ტბაში,
დათოვლილი ქედი,
გადაუცვამს ტყეებს
ოქროსფერი ფარჩა,
ალუბლისფერ ფოთლებს
მოუქარგავს მთები,
სამოთხეში მიწვევს
შემოდგომის რაჭა.

28 .10. 2018 წ.

სულის სამოსი

ახლა, როდესაც შემოდგომა ხატავს მთის კალთებს,
მეწამულ ფერებს ჩაჰფენია თეთრი ნისლები,
ოქროსფერ ფოთოლს გავყვები და მთებს ავუქროლებ,
ნისლებს ჩავყვები მთის სიღრმეში, ჩავინისლები.
მეც თითქოს ახლა ათასფერი მმოსავს სამოსი,
შემოდგომა ვარ, თეთრი ნისლი თავს დამსდებია,
მოვწყდები ხიდან, მალე, როგორც მწიფე ნაყოფი,
სულის სამოსი ყვითელ ფოთლებს დამმსგავსებია.

2018 წ.

გურამ რჩეულიშვილს

...და არ ვიცოდი მე სიყვარული,
ერთხელ ვნახე ის
სხვასთან ერთად...
მის ნაიარევს, ეჭვს სიგიჟის
ზღვართან მივყავდი...
ზღვას მივაბარე და ზღვამ იცის
ყველაზე მეტად...
...
როგორ მიყვარდი...
...
ახლაც ქარი ქრის,
მარტოობის ასფეხა ქარი,
ორ ზღვათა შორის დანავარდობს
კვლავ თავაშვებით.
„ყველაზე მეტი მარტოობა
ალბათ, იქ არის“ -
სად სიყვარული მივატოვე
უხმო გაშვებით.
...
მე თოლია ვარ, სანაპიროს
თეთრი თოლია...
ვებრძვი ცხოვრების
ყოველ დარტყმას შეთამაშებით...
გულჩაწყვეტილი, გადავყურებ
უშენო ნაპირს
და მლაშე ტალღებს
ქართან ერთად ვეთამაშები...

06. 01. 2019 წ.

უნიღბოდ

მორგებული გვაქვს ყალბი ნიღბები,
გულდაგულ ვმალავთ რეალურ სახეს,
ხან ბოროტება გვიჩრდილავს სხეულს,
ხან ცბიერება სამოსელს გვახევს.
მორგებული გვაქვს ყალბი ნიღბები,
დროდადრო ვიცვლით სასურველ როლებს,
დროს ვეხამებით და ამ თამაშში,
ვერ ვხვდებით, ისე ვიცვითავთ გრძნობებს.
ვერ შევითავსე... ჰო, არ გამომდის!
ვერ ვეგუები როლების თამაშს,
ვეღარც ვეხვევი დროის ხლართებში,
სადაც ვერ არჩევ ცრუსა და მართალს.
დავლეწე ყველა, ყველა ნიღაბი,
და არ დავკარგე სახე, ნამდვილი,
ეს არის ჩემი ერთი, სწორი გზა,
ღვთისკენ სავალი ბევრად ადვილი
და ახლა, ჩემი უნიღბო სახით,
ვუახლოვდები ცათა სამყოფელს,
ღმერთო, მიმიღე ნამდვილი სახით,
ღმერთო, ნამდვილი გრძნობით მამყოფე.

2019 წ.

ახალი ბანა

მიაბრძანებენ ჩოხოსნები წმინდანთა ხატებს...
უფლის წყალობა გაჰყოლოდეთ მათ სვლასა, თანა...
იმ ნაკურთხ ბორცვზე, სადაც მიწა ცას უერთდება,
მალე დაიდებს ბრწყინვალებას ახალი **ბ ა ნ ა.**
დიდი ტაძარი ნათელს დაჰფენს დაღლილ ქვეყანას,
სამრეკლოს ზარი ხმას მიაწვდენს იმერ - ამიერს
ჩამოაშორებს მუმლს მუხაზე ამოზრდილ ყლორტებს
და ჩვენს ერთობას სულს შთაჰბერავს მრავალჟამიერ!

2019 წ.

თებერვალი...

თხილის ბუჩქზე ჩამომჯდარა თებერვალი,
თავის მწვანე თმებს ჩაუწნავს ტოტებს მალე,
ხის ფესვებთან ყოჩივარდა გაზაფხულობს,
ვარდისფერად აბრიალებს ფერად თვალებს.
მთის დამრეცზე ნაზამთრალი რუხი ფონი,
ფიჭვის მწვანე ყლორტებს შეუხამებია,
ზამთრის სუსხი ლომის მთიდან მონაქროლი,
კვამლამოსულ ოდებს დაუამებია.
მივუყვები ჩემი სოფლის ნაცნობ აღმართს,
მუქ ფერდობზე ღერებს დათვლი თითო ხისას,
მერამდენედ გულს მალამოდ მეფონება -
ჯადოსნური სურნელება ჩემი ტყისა!
ნებოძირო, შენნაირად ვინ გამითბობს,
ამ ცხოვრების ნაზამთრალს და ნასუსხ სხეულს,
თხილის ტოტზე შემომჯდარი თებერვალი,
მზეს, სიყვარულს, სითბოს აწვდის გამომშრალ სულს!
ყოჩივარდებს მოვაგროვებ ღერა-ღერა,
აქვე ახლოს დედაჩემის საფლავია,
ამ სოფელში უკეთესი მასპინძელი,
არავინ და არაფერი გამაჩნია.

2019 წ.

გული პატარა

გავეჯიბრე, ვერ ვაჯობე,
ამ პატარა გულს,
დავემალე, გადამყარა
მაინც სიყვარულს,
მატარა, სად არ მატარა,
სამყარო შემომატარა,
რა აღარ გამომატარა...
ეძახე, გული, პატარა!

2019 წ.

ქუჩა მეფე თამარის

თამარ მეფის ქუჩაზე,
მზის გადმოსვლა მთებიდან,
დაფინება ოქროსფერ
სხივთა, საოცარია!
ხორბლისფერი კედლები
ჩემი ძველი თეატრის,
მასმენინებს წარსულში
შესრულებულ არეას...
ქვეყნად არ მეგულება
ადგილი შესადარი,
მიყვარს ჩემი წყნარი ქუჩა,
და კულტურის ტაძარი...
მომსწრე, ლხინის, ვარამის,
სიცილის თუ ტირილის,
თეატრის აყვავების,
ეთიმ გურჯის ღიღინის...
წინა ხედზე იმედად
ბრწყინავს ცეცხლის ლამპარი,
თრიალეთის მთებიდან
ნატყორცნი მზით გამთბარი.

2019 წ.

ადამიანის მერქვას სახელი

ფიქრით ამევსო პატარა სკივრი,
ზოგიც ვაქციე გარითმულ სიტყვად,
გადავინახე ბევრიც სათქმელი,
ხელუხლებელად დავტოვე ფიქრად.
ფიქრს რა გამოლევს, სიტყვაა ძნელი,
ფურცელზე, რასაც ამჩნევს მელანი,
სუფთა დაფაზე, სიტყვების მსგავსად,
ვხატავთ ჩვენსავე სახეს ყველანი.
დრო მოვა უნდა დახურო სკივრიც,
სამელნეშიც ხომ შრება მელანი,
ბოლოს ცხენებიც ხომ სწყვეტენ ჯირითს,
როცა უცვდებათ ჩლიქებზე ნალი.
თვით არწივებიც ძირს ეშვებიან,
დრო ფრთებს უკვეცავთ, ტიალ-ვერანი,
თავისუფლების გზაზე ქროლვისას,
ბრძოლის ველზეც ხომ კვდება მერანი,
მაგრამ ჯერ რადგან სულმდგული მქვია,
გული, გონება, აზრი მაწვალებს,
უნდა ვიტვირთო მხრებზე ის ტვირთი,
სუფთა სინდისი ტვირთად რომ მადებს.
გავკვალო ჩემი გზა - გასაკვალი,
პატიოსნად ვთქვა სიტყვა, სათქმელი,
რომ სიკვდილის ჟამს ჭიად არ მოვკვდე,
ადამიანის მერქვას სახელი!

2019 წ.

გალაკტიონი

I

ჩაბნელებული ოთახი, მწირი,
ჩამოშვებული - მზის მუქი ფარდა,
გალაკტიონი სიბნელეს ებრძვის
და თაფლის სანთელს უმაგრებს შანდალს.
მარტოობის ცრემლს ვინ მიუხვდება,
სიცივე ძვლებში ამტვრევს ბოლომდე,
ხელის ცახცახით წერილს წერს - ,,იქნებ,
გამომიწეროთ პალტო, როგორმე''...
მთლად გაუძარცვავთ ქუჩაში რეგვენთ,
წაურთმევიათ ფეხსაცმელები,
ჩირად არ უღირთ უვიცებს მისი
ოქროდ ნაქარგი - ჩანაწერები...
უცნაური ხმით დაიწყებს მოთქმას :
- დაუხუჭესო, ნეტავი, თვალი?..
როგორ გავძლოო, ახლა ფხიზელმა?!
თავიც მომბეზრდა ყოველდღე მთვრალი!..
ოჰ, ღმერთო რისთვის?! - მას გახელილი,
ჰო, გახელილი დარჩა თვალები!
იქ, სიშორეში… ო, ჩემო ოლოლ,
სული მეწურვის და მებრალები!
გარეთ ისევ წვიმს, ღრიალებს ქარი
მე მიყვარს წვიმა და მიყვარს ქარი...
მიყვარდა ისიც... და აღარ არის !..
შორიდან სევდით ღიღინებს მტკვარი...
დროდადრო ჩუმად უთვალთვალებენ,
რეჟიმი ებრძვის ცოცხალ გენიას,
აზრის ჩახშობა, ღირსების აყრა -
სიკვდილი! - ნუთუ ეს დარჩენია?!
არარად უღირს პოეტს სიცოცხლე,
კვლავ სანაპირო უხმობს დარდიანს,

რას გაიგონებს კაცი უარესს ?!
ეჰ! ,,კუხარკების“ პოეტს ადრიან !..
უნდობლობა და ათასი ჭორი,
არც თანამდგომი, არც გულისწორი
და ქუჩის ბოლოს ხის ძირში მწოლი
ათენებს ღამეს გალაკტიონი...

II

„ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის!“…
საავადმყოფო როდი შველის სულს დამძიმებულს,
აქაც, საწოლიც ვერ მონახეს, ზურგი აქციეს,
დერეფნის კუთხე მიუჩინეს, შეშლილად ქცეულს.
წეღან მწერლებმაც არ შეხედეს, სახე არიდეს,
უსიტყვობისგან მეფე პოეტს უკვდება გული,
სიკვდილის ლანდი აედევნა, ნაზად ხვევს ხელებს,
ვარდისფერ გზაზე შედგომა ხომ არ არის რთული?!
ნაბიჯი მძიმე, ტვირთი მძიმე, სარკმელი ღია,
სული ნაპირებს ეხეთქება, გაფრენას ლამობს,
გრგვინვა - გრიალით, სადღაც ლურჯა ცხენები რბიან…
სხეულს ტოვებს და დედამიწას დუელით ამხობს!...

2019 წ. /19 მარტი /

სიყვარულია ...

რად მინდა ხელი, თუ შენს ხელებს ვერ შეეხება,
რად მინდა გული, შენი გული რომ ვერ იპოვოს?!
რად მინდა თვალი, შენს თვალებს თუ არ შეეჩეხა,
ყურიც რად მინდა, შენი ხმაც რომ ვერ გაიგონოს!
მე შენთვის მინდა ყველაფერი, რაც გამაჩნია,
შენი კვალია, გულზე ვარდად რაც რამ მაჩნია,
მწარეც, ეკლებად რაც დაესო ჩემს პატარა გულს,
შენი კვალია, ყველაფერი შენი ბრალია!
მიყვარდი ძლიერ, რომ იცოდე ისევ მიყვარხარ,
არც მიფიქრია, მე ხმამაღლა გრძნობის გამხელა,
სიყვარულია, რომ გიყვარს და თქმაც არ ჭირდება,
რომ შეგიძლია ყველა ჭირთა უხმოდ დათმენა.
სიყვარულია, თვალწინ მდგომიც რომ გენატრება,
სიყვარულია, მძინარს ჩუმად რომ ეფერები,
სიყვარულია, გარეთ გასულს ღმერთს რომ ავედრებ,
სარკმელთან მდგარი გულის ძგერით რომ ელოდები.
რა არის წლები, მირბიან და დრო გეწურება,
მომატებული წლოვანება გიხუნებს ფერებს,
სიყვარული კი ფერადია, სულ გაფერადებს,
სიყვარულია, რომ არასდროს არ დაგაბერებს.

2019 წ.

გამოკეტილი სახლები

გამოკეტილი სახლები დუმან,
დავდივარ კარ-კარ უხმო, უბარი,
არავის არ აქვს სარკმელი ღია,
სევდიანია კოშკის უბანი.
ჟანგიან ჭიშკრებს ბოქლომი ადევთ,
და ზოგგან ისიც აღარ ჩანს უკვე,
სადღაც ეულად მოხუცი ცხოვრობს,
ნეტავი თოვლში გზას ვინ გაუკვლევს?!
სულის შემძვრელი სანახავია
ჩამონგრეული ჭერი სახლისა,
ალბათ, რა ძალა ერჩოდა ერთ დროს,
აქ მყოფთა გუთანს და მათ სახნისსა...
იელის წკნელით ჩაწნული ღობე
შემორჩენია კოშკინ წინ ეზოს,
ნეტავ, ბალახზე ბავშვიც დარბოდეს
ბოქლომი არც ერთ ჭიშკარს არ ედოს!..
ყველა კარებთან შევიდგი ფეხი,
ძველ ბინადართა ვიყავ მხმობელი,
ყველა სარკმელში გაჩნდეს სინათლე,
და გაძლიერდეს, ვნატრობ, სოფელი...
დრო გადის, ხსოვნად შემრჩა კადრები,
ბედნიერ დღეთა მოსაგონებლად,
სადაც დავტოვე ბავშვობის წლები
იქ დარჩა ჩემი ტკბილი ცხოვრებაც...

2019 წ.

ერთ სიყვარულად...

შორს, მთის მწვერვალზე,
სადაც თოვლი ბეზერ სულს ღაფავს,
ქართლის მწვანე ველს
ყაყაჩოთა ალმური ასდის,
გვირილა თეთრი სამოსელით
ჰყვება გრძელ ამბავს,
ვერცხლისფერ ფოთლებს
მზეს აფიცხებს ჭალაში ფშატი...
მელნისფერებად დაწერია
მიწას ღიღილო,
მზე დაუხატავთ მწვანე ფონზე
ყვითელ სამყურებს,
ჩანისლულ ხევში ცისარტყელას
ჩაუდგავს ფეხი
შვიდფეროვანი ბრწყინვალებით
მინდორს დაჰყურებს...
აღტაცებული შევცქერი და
თავს ძლივს ვიკავებ,
მინდა შევიჭრა, ყვავილთ მღერას
მივუგდო ყური,
ეს ყვავილები, იქნება ის
სიყვარულია
ჩუმად გულში რომ ინახავენ
შეყვარებულნი...
ნანაობს ქარი ზღაპრულ ველზე
ჟღერს სიმფონია,
ხავერდოვანი, ნაზი გრძნობით
შეზავებული,
მინდა ყვავილებს შევერიო
ერთ სიყვარულად,
ყაყაჩოებს და თეთრ გვირილებს
მივანდო გული.

2019 წ. / ივნისი /

ვივლი და ვივლი...

მინდა ვიარო, მზეს შევეხო პატარა ხელით,
მთვარე მოვძებნო, უკუნეთი გავამზიანო,
დაცემულიც კი წამოვდგები ასჯერ ძლიერი,
ვერ შემომბედონ - უძლური ხარ ადამიანო!
კვლავ ისევ ვივლი... უსასრულოდ... კვლავ ისევ დავწერ...
ათასჯერ ნამღერს, მე ჩემი ხმით გავახმიანებ,
მთებს გადავივლი, მზეს შევწვდები პატარა ხელით,
წამოვიღებ და სულს გავუთბობ ადამიანებს!
...
ვივლი და ვივლი... უსასრულოდ...
                  დავწერ და დავწერ...

2019 წ.

ჩ ა ნ ა წ ე რ ე ბ ი

მე ზღვა მქვია

ზღვაზე ცისფერი დილა ხომ მართლაც გამართლებაა. დილის შვიდი საათია. სანაპიროზე ჯერ კიდევ სრული სიმშვიდეა. მოუთმენლად შევდივარ წყალში. ამ დროს ზღვა საოცრად თბილია, მთელი ძალით ვუსვამ მკლავებს და მივცურავ. მარტო ვართ მე და ზღვა. რა მშვიდია, წყნარი, კამკამა. რაც უფრო სიღრმეში შევდივარ ნამდვილ სამოთხეში მგონია თავი! მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვერ ვცურავ, რაღაც უჩინარი ძალა გამბედაობას და სიძლიერეს მმატებს. აქ არის ნამდვილი თავისუფლება, აქ არის შესაძლებლობა, გამოცადო შენი თავი, ვინ ხარ და რა შეგიძლია...

წინ ტალღა მეგებება. გადავხვევ ხელს, ჩავეხუტები და როცა მეორე ხელის მოხვევაც მინდა, ის უკვე ჩემგან შორსაა და ხმელეთისაკენ, საპირისპირო მიმართულებით მიიჩქარის.

-მიყვარხარ ზღვაო! - ვეუბნები მე და ვკოცნი მლაშე ლურჯ-მწვანე ბლანტ წყალს...

-მეც მიყვარხარ! - მეფერება ზღვაც. ხან სახეზე მელამუნება, ხან კი თავზე მისვამს სველ, თბილ მკლავებს.

როგორ მიყვარს ეს დალოცვილი! - ვიმეორებ გულში. მთელი მონდომებით ვეხუტები, ხმელეთის პატარა, უსუსური არსება ამ ყოვლისშემძლე ბუმბერაზს და ამ უკიდეგანო ლურჯ სივრცეში თავი მასსავით ძლიერი და უძლეველი მგონია!

დღეს ასე წყნარი და მშვიდი, რა თავაშვებული და საშიში იყავი რამდენიმე დღის წინ. ერთი წამით დაუბერა დასავლეთიდან უეცრად მოვარდნილმა ქარბორბალამ სანაპიროზე და ატეხე წივილ-კივილი, ვინ სად გარბოდა, აღარავინ იცოდა!

თვალის დახამხამებაში მოიშალა შენს სივრცეში შემოჭრილი ულამაზესი სანახაობები, ჰაერში მიმოიფანტა ფერად-ფერადი ქოლგები! ქვიშა, ქოლგა, ბავშვი, ქალი - ერთმანეთში აირია. უსწრაფესად მოაწყდი გაცოფებული და გადარეული სანაპიროს კედელს. მილეწ - მოლეწე ყველაფერი, სულ მთლად აიკელი გარემო. რამ გაგაგიჟა ასე უეცრად! მთელი ღამე ღმუოდი, ბობოქარი! ნეტავ, რა გაწყენინეს ასეთი ?! ან მერე, ასე როგორღა დამშვიდდი ისევ?! მაგრამ მე რას გავიგებ შენსას. **შენ ხომ ზღვა ხარ!**

მთელი მონდომებით ვუსვამ მკლავებს, სხეულის ყველა ნაწილს ვიმორჩილებ. ვიბრძვი, ვიბრძვი, შორს გავცურო! ბედნიერებაა განცდა, რომ შენც ებრძვი და მიიწევ წინ! რომ იმორჩილებ ამ ვეებერთელა სივრცეს...

ამ ხანდახან ქარიყლაპიას, ადამიანისგან განსხვავებით, ერთი საუცხოო თვისება აქვს - გულუბრყვილოდ მასზე მინდობილს არ შემეწინააღმდეგება... და, არ მებრძვის!.. პირიქით, გულში მიხუტებს და მეხმარება, სიძლიერის და სიმტკიცის გრძნობა განმაცდევინოს.

ხელებს ვშლი და გულაღმა ვწვები. თავს ისე ვგრძნობ, როგორც ბავშვობისას დედის კალთაში... უზრუნველად, ლაღად.. ზღვა მღერის - როგორც დედა, ზღვა მარწევს -როგორც დედა მარწევდა თავისი მკლავებით. აქ ახლა თავი პატარა ბავშვი მგონია, პატარა, გულადი ბავშვი დედის მკერდზე მიკრული...

აღმოსავლეთით, ცისფერი, ვარდისფრად შეიღება. რა სწრაფად მოცურავს მზეც! მალე მე და ზღვა მარტო აღარ ვიქნებით, მზეც ჩვენთან იქნება, სხვა რაღაა საჭირო სრული ბედნიერებისთვის?!

-მაინც რატომ მიყვარხარ ასე?! თუმცა, რა საკითხავია! ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება! ჩემი სახელი, **მ ა რ ი ნ ა** , ხომ ზღვას ნიშნავს... ზოდიაქოს ნიშანი კი, თევზია...

ნეტავ, დიდხანს გაგრძელდეს ეს ბედნიერება!

თვალებს ვხუჭავ, აქ ფიქრი ძნელია, მაგრამ მაინც მახსენდება: ძალიან ადრე, წლების წინ, მეგობრებთან ერთად ულამაზეს ქალაქ სოჭში ყოფნისას, თავის მოწონების მიზნით, სასეირნო გემის ბაქანიდან პირდაპირ გადავეშვი ზღვაში! თავადაც არ ვიცი როგორ, მაგრამ თავი ქვის ფილაქანს დავარტყი, წამიერად გონება დავკარგე, მაგრამ დავძლიე, მთელი ენერგია მოვიკრიბე და როცა წყლიდან ვაი-ვაგლახით ამოსულმა თვალი გავახილე, ბუნდოვნად გავარჩიე, რომ სანაპიროზე ლოყებზე ხელებშემოწყობილი, შესაცხადებლად გამზადებული მეგობრები მელოდებოდნენ შეშინებული თვალებით. არც გამიმხელია, რაც გადამხდა! ვითომ მხიარული, გამარჯვებული იერით ვანუგეშე აქეთ დასანუგეშებელმა, რომ ყველაფერი მშვენივრად იყო...

რას დავაბრალო ჩემი გადარჩენა, თუ არა იმას, რომ ზღვა მქვია და ზღვას ვუყვარვარ! ბუნებითაც ხომ მსგავსი ვარ, მშვიდი, წყნარი, მიმტევებელი, ზღვა სიყვარულის მატარებელი, მაგრამ გაბრაზებულს წინ ვეღარაფერი დამიდგება! ფიქრებში წავედი... მოვდუნდი, მკლავებიც მომექანცა.

წამიერად მომეჩვენა, რომ დავეშვები და სამუდამოდ ჩავეკვრები ჩემს მოსახელეს! ზღვა, როცა მშვიდად არის, ძალიან კეთილია, ადამიანებზე მეტად კეთილი და სანდო. რაც მეტად მიენდობი, არ გაგწირავს, არ გიღალატებს. დაბლიდან გიბიძგებს, მაღლა გატივტივებს, ტალღებს დაგიშენს და ნაპირზე დაგაბრუნებს. იქ, სადაც დაიბადე, სადაც არის შენი ნამდვილი საუფლო... მიწა, ხმელეთი...

-მიყვარხარ, ზღვაო! შენგან, სიცოცხლისთვის, გადარჩენისთვის ბრძოლის სწავლა შეიძლება!... წინააღმდეგობების გადალახვის, დაუმორჩილებლობის განცდის სწავლა შეიძლება!... -მიყვარხარ, ზღვაო! დღეს ბოლო დღეა... შინ ვბრუნდები… მე კი შენთან დარჩენა მინდა! - შევჩივი ზღვას.

ნაპირისკენ პირი ვიბრუნე. ძლივს ვიმორჩილებ ,,ნაომარ მკლავებს“, მაგრამ დაღლილობას სულ არ დავეძებ.. ვინ იცის, კიდევ როდის ვეღირსები უკან დაბრუნებას..

-ხომ მომცემ ძალას, დავბრუნდე შენთან? - ვეკითხები ჩემს მოსახელეს

-აბა რა�ა... - გადამიარა მლაშე, ბლანტმა სითხემ თავზე შრიალით, სიცილ-კისკისით. ჩვენ ხომ ორივეს ზღვა გვქვია და ორივეს ზღვა სიყვარული შეგვიძლია....

-მე დავბრუნდები!... აუცილებლად დავბრუნდები!...

...

ჩემს ქალაქში ჩამოვდივარ.. იწყება ხმაურიანი, აღელვებული ზღვასავით მშფოთვარე ცხოვრება.. მაგრამ ვიცი, რომ გავუძლებ… მე ხომ ზღვა ვარ... და მასსავით ბრძოლა შემიძლია...

2018 წ.

თავისუფლების არსი

ადამიანი - აზროვნებს, ისახავს მიზანს, აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს, იღებს გადაწყვეტილებებს, მოქმედებს. ეს არის მისი უპირატესობა ცხოველზე. თუმცა, ზოგიერთის აზროვნება ვერც შეედრება ცხოველის აზროვნებას, რადგან იქცევა გაუაზრებლად, მხოლოდ ინსტიქტით და არ ფიქრობს, რა შედეგი მოჰყვება გაუცნობიერებელ ქმედებებს. ამიტომაცაა, რომ ის, ადამიანია მხოლოდ ფიზიკური აღნაგობით და მეტყველების უნარით, აზროვნებით კი ბევრ ცხოველს ჩამორჩება. სწორედ ასეთი ჩამორჩენილობა განაპირობებს ურთიერთობებში დაძაბულობებს, უთანხმოებებს, აზრების შეუთავსებლობას.

საღად მოაზროვნეთა მოქმედება ორიენტირებულია შედეგზე, ხოლო **ნება-სურვილზე დამორჩილებულთა** - მხოლოდ გაუაზრებელ ინსტიქტებზე. მარტივად რომ ითქვას, ,,უნდა“ და იყენებს თავის ყველა რესურსს ნებისმიერი გზით აისრულოს ნება - სურვილი ზიანის წარმოქმნა - არწარმოქმნის გაუთვალისწინებლად.

ადამიანები ილტვიან სრული დამოუკიდებლობისაკენ. პროგრესულად მოაზროვნე ინდივიდები თუ დემოკრატიული ინსტიტუტები მუშაობენ, რათა პიროვნების მოქმედება, ცხოვრება იყოს, რაც შეიძლება თავისუფალი, მაგრამ ბევრი ვერ აცნობიერებს, რომ ეს არ გულისხმობს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით გაგებას. ადამიანი ვერასოდეს ვერ იქნება სრულიად თავისუფალი. ან როგორ შეიძლება, ვისაც რა სურს ის მოიმოქმედოს ?! არსებობს მის გვერდით მეორე, მესამე და ა.შ. არსებობს მის გარშემო საზოგადოება, ბუნება, სამყარო, რომელიც თანაბრად ყველასია და შესაბამისად არ შეიძლება შენმა ინტერესმა, შეზღუდოს სხვისი. უფლებებთან ერთად გაგვაჩნია ვალდებულებები და იგივე ადამიანების გამოცდილებათა საფუძველზე შექმნილი და მათ მიერვე დაწერილი წესები და კანონები, რომელიც უნდა დაიცვას თითოეულმა ჩვენგანმა, რათა ბუნებაში და მით უმეტეს საზოგადოებაში არ დაირღვეს ურთიერთობათა ჰარმონია.

მაშასადამე, **თავისუფლება არ ნიშნავს სრულად თავისუფალ ქმედებას. თავისუფლება ნიშნავს ადამის მოდგმის მიერვე დაწესებულ წესებზე დამორჩილებას, მაქსიმალური თავისუფალი ნებისა და ურთიერთობების პირობებში.**

რატომ შექმნა ადამიანმა წესები? - რადგანაც, იგი მოაზროვნეა და გაშინაგანებული აქვს, რომ ქაოსური, ნებაზე აგებული საქციელი ავნებს და შელახავს მას და მის გარშემო არსებულ საზოგადოებას. ყველაზე მიუვალ ადგილებშიც კი, სადაც გვიან აღწევს ცივილური კანონები, ადამიანებს თვითვე აქვთ დამყარებული საკუთარი კრიტერიუმები. მაგალითისთვის ,,მთის და თემის კანონებიც“ კმარა, რომლებიც გაცილებით მკაცრია და მიგვანიშნებს, რომ მთის იალაღებზე ლაღად გაზრდილი, თავისუფალი აზროვნების მქონეთათვისაც კი არ არსებობს სრული თავისუფლება.

თავისუფლების არსი გარკვეულ შემთხვევებში არასწორად არის აღქმული. თუ ვაღიარებთ, რომ ღმერთმა შექმნა **ადამ - იანი**, მან შექმნა **კაცი და ქალი** და მისცა მათ **უნარი ადამ - ის მოდგმის გამრავლებისა**. ეს უფლის კანონია. კაცობრიობა წარმოშობის დღიდან ამ კანონზომიერებით საზრდოობს, მრავლდება და ვითარდება საუკუნეების მანძილზე.

საჭირო რომ ყოფილიყო, ღმერთი ქალსა და კაცს არ დააკისრებდა ამ უნარს, არამედ მამრსა და მამრს, ან მდედრსა და მდედრს. ეს ერთგვარი დაუწერელი კანონზომიერებაა, თუმცა ჩვენს გარშემო ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან ამ კანონზმიერებას დაუქვემდებარებელი ადამიანები. ვფიქრობ, რომ მოქალაქეთა იმ ნაწილს, რომლებიც ეგ.წ. „სექსუალურ უმცირესობას“ წარმოადგენენ, უნდა შევხედოთ, როგორც გარკვეულ „ნაკლოვანებათა“ მქონეთ. „ნაკლოვანებებს“ კი ფაქიზად მიდგომა სჭირდება. არ შეიძლება, ვინმეზე იძალადო მხოლოდ იმიტომ, რომ ის შენ არ გგავს! - **თავისუფლება სხვისი უფლებების არ შელახვას გულისხმობს, თუმცა, რამდენადაც დაუშვებელია ძალადობა, იმდენადვე მიუღებელია თავს მოხვეული, არაჯანსაღი პროპაგანდა.**

რაც შეეხება **ტრადიციებს,** მას საუკუნეების მანძილზე თვითონ ქმნიდნენ ერები. მათზე ზეგავლენას ახდენდა გარემო, გეოგრაფიული მდებარეობა და მდგომარეობა. თუ გამოვყოფთ კავკასიელეთა ტრადიციებს, ისინი გარკვეულწილად გამომდინარეობენ ბუნებრივი პირობებიდან. სიმკაცრე, ჩაცმულობა, ვაჟკაცური ქმედება, სისხარტე, როგორც ,,კლდეებზე მოხტუნავი ჯიხვისა'', სიმღერები, ცეკვები თითქოს მსგავსია კაკავკსიონის ატყორცნილი ქედებისა.

საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტები ცდილობენ დანერგონ მაქსიმალური თავისუფლება, საკუთარ წესებზე და კანონებზე დაქვემდებარებით და ნებით თუ უნებლიეთ, ხშირად უგულებელყოფენ ტრადიციებს,ეროვნულ პრინციპებს, ენობრივი და

რწმენის სიწმინდეების დაცვას, მაგრამ, რადგან არსებობს განსხვავებული გარემო, ადამიანებსაც განსხვავებულად აქვთ აწყობილი ყოფითი და სულიერი პირობები და უკვე საუკუნოვანი ტრადიციების გვერდის ავლა თავისუფლების დანერგვად კი არა, მის შეზღუდვად უნდა ვაღიაროთ. სწორედ ასეთი არასწორი მიდგომა უქმნის საფრთხეს ჩვენს, **ეროვნულ იდენტობას**, ამიტომ საერთაშორსო, თავისუფლების ინსტიტუტებმა, მეტი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ ქვეყნების, ერების, ტრადიციების, კულტურის, რწმენის და ადათ-წესების წინაშე.

რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომელიც პროგრესულად აზროვნებს, მიისწრაფის რომ ჰქონდეს დადებითი პიროვნული თვისებები, სურს, წარმოადგენდეს საზოგადოების ღირსეულ წევრს, იმსახურებდეს პატივისცემას, ნდობას, სიყვარულს და ამავე დროს გააჩნია სურვილი იყოს თავისუფალი პიროვნებაც? მან, თავისი მოქმედება უნდა შეუსაბამოს, შეურწყას იმ კანონებს, იმ ერის ტრადიციებს, რწმენას, წესებს, რაც მის გარშემო მყოფი საზოგადოებისთვის არის მისაღები!

პიროვნების თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც ის ზღუდავს სხვისას.

ადამიანი ურთულესი ფენომენია. იგი შექმნა ღმერთმა, როგორც უნიკალური არსება. თითოეული ადამიანი ერთადაერთი და განუმეორებელი ინდივიდია, რომლის იდენტური ბუნებაში არ არსებობს. კოდი თავისუფლებისკენ სწრაფვისა მეტ-ნაკლებად თითოეულ ჩვენთაგანშია ჩადებული. **იბრძოლო, რათა შექმნა ისეთი გარემოცვა, სადაც შენი თავისუფლება და ღირსება ზენიტში იქნება აყვანილი, ეს არის იდეა, რისთვისაც ღირს სიცოცხლე!**

თუმცა ...

თავისუფლებას სწორი გაგება სჭირდება!

2018 წ.

თოვლი და სიყვარული

დეკემბერი… წვიმიანი დღე ... სამი თვე გასულიყო, რაც არ მენახა.

გადავწყვიტე აღარასოდეს შევხვედროდი. სტუდენტობის დროს მეგობრის ნაჩუქარ გიტარაზე ვირთობდი თავს და ისე სევდიანად ვღეროდი დედაჩემს გული უწუხდა!.. მამა შინ არ იყო.ის იყო, დედას პირობა მივეცი დავშორდები მეთქი, რომ უცებ კარი გაიღო და ჩემი ბიძაშვილი ირინა შემოვიდა. წვიმას ულამაზესი ქერა კულულები უფრო დაემშვენებინა, ფართო, ცისფერ თვალებში პატარა ეშმაკუნები უციმციმებდნენ.

-ის ქვემოთ გელოდება, არ წავა სანამ არ ჩახვალ. მე კი ავუხსენი რომ... მაგრამ გელოდება...

ჩემი გულის ცემის ხმა თვითონვე მესმოდა, ყურები დამიგუბდა! დედამ მალულად გამოაპარა ჩემკენ მზერა და საქმე განაგრძო.

ყველაფერი დამთავრდა... ასე გადაეცი, ყველაფერი დამთავრდა-თქო!

-ამოვილუღლუღე. მრცხვენოდა ჩემი სიტყვების უკან წაღების, თორემ მზად ვიყავი ფეხშიშველი დავშვებულიყავი იქით, სადაც ჩემი ზურიკო მელოდა. ირინა დაღონებული გაეშურა ჩემი თხოვნის შესასრულებლად, მაგრამ მალევე უკან მობრუნდა - „მას” სახლში ამოსვლა უნდაო! - დედა ცოტა არ იყოს შეშფოთდა, თუმცა, დედა რისი დედაა, შვილის გულს რომ ვერ ჩასწვდეს!

...

ულამაზესად გაწყობილ ხილის მაგიდას სამნი ვუსხედვართ. უხერხულობის დამალვა გვიჭირს და სიტყვებისთვის ვერც ერთს ვერ მოგვიყრია თავი.

-ქალბატონო, მე და თქვენს ქალიშვილს ერთმანეთი გვიყვარს, თქვენ წინააღმდეგი ხომ არ ხართ ჩვენი სიყვარულის?

ზურიკოს ყოფილი მასწავლებელი პირველკლასელი ბავშვივით წითლდება. ცრემლები ყელში ებჯინება.

-არ მინდოდა ჩემს შვილს ჩვენთან ასე ახლოს ეცხოვრა. თან მამამისიც სასტიკი წინააღმდეგია…

-სიყვარულის? - პრობლემურ კითხვას აგებებს მოსწავლე.

პასუხის გაცემა არც ისე მარტივია...

-მაგრამ... როცა ნამდვილი, ორმხრივი სიყვარულია, წინ რაღა დაუდგება. მოდი სიყვარულს გაუმარჯოს! - ამბობს ბოლოს დედა და ჩვენი კონიაკით სავსე ჭიქებიც ერთდება. ისევე, როგორც სამუდამოდ, ჩვენი გულები...

…

დედას ჩავეხუტეთ, მოსწავლემ გულითადი მადლობა გადაუხადა თანაგრძნობისთვის და სიცოცხლის ბოლომდე მადლიერებით და სიყვარულით აღსავსე ურთიერთობა აჩუქა.

გათამამებულმა კინოში წასვლა ვითხოვე. გარეთ უკვე წვიმა კი არა, თოვლის დიდზე - დიდი, თეთრზე - თეთრი ფანტელები ცვიოდა. ზოგჯერ რა მცირეა მანძილი სევდასა და უდიდეს სიხარულს შორის! მხიარულად ჩავირბინეთ ეზო და თოვლის ფანტელებივით შევერიეთ საღამოს.

იმ დღეს კინოში მართლაც კარგი ფილმი გადიოდა, მაგრამ ჩვენ იქ სულაც არ წავსულვართ. გზას გადავუხვიეთ და წმინდა გიორგის ტაძრის ნანგრევებში აღმოვჩნდით. კელიის გვერდით სანთლის დასანთები ნიში ხელუხლებლად შემორჩენოდა ტაძარს. ვიღაც მადლიანს ჩვენს მისვლამდე, თავისი სიგრძე სანთელი დაენთო, რომელიც ნახევრად დამწვარიყო და ჯერ კიდევ ბჟუტავდა...

„ჯვრისწერის ცერემონიალის“ წარმართვა ზურიკომ ითავა.

-უფალო, გთხოვ ამ სანთლის პატრონს მისი ყველა კეთილი თხოვნა აუსრულე... ჩვენ კი... ბედნიერი გზით გვატარე !..

ორივე, მუხლზე დაჩოქილი, ერთმანეთზე ბავშვობიდან უზომოდ შეყვარებული წყვილი ზეცისკენ ხელებაპყრობილი ვევედრებოდით ჩვენს ყოვლისშემძლე წმინდა გიორგის წყალობას და დალოცვას, მომავალი ცხოვრების დასაწყებად.

ხელიხელჩაკიდებულნი დავეშვით დაღმართზე...

თოვლს უკვე მოესწრო და თეთრად შეეღება ირგვლივ ყველაფერი. ბნელდებოდა, იბურებოდა სამყარო...

ანათებდა მხოლოდ ახლად დადებული თოვლი და მასთან ერთად ჩვენი მარადიული სიყვარული.

05.12.2018 წ.

მწვანე თავსაფარი

დაღამდა. ოჯახმა დაიძინა. ჩვენი საძინებელი ოთახი მეორე სართულზე, გზის პირასაა. ფანჯარას ლეღვის ფართო ფოთლები ჩრდილავენ. გვიანი შემოდგომაა.
საკმაოდ ცივა. ცა ისე იღრუბლება, თითქოს თოვას აპირებს.

-წავიდეთ?

-წავიდეთ.

ვფრთხილობთ, არავინ გავაღვიძოთ, კარის ხმაურს ვერიდებით და ფანჯრიდანაც მოხერხებულად გადავდივართ. ხელჩაკიდებულები მივიკვლევთ გზას სიბნელეში, სულმოუთქმელად, შეუსვენებლივ ავრბივართ ციცაბო ბილიკზე. პირველი შემთხვევა არ არის, ასე მოკლე გზით რომ გვიწევს ასვლა, ამიტომ არც ახლა გვიჭირს.

-ნეტავ თუ მოვა დრო, როცა აქ არბენას ვეღარ შევძლებთ? - მეკითხება ზურიკო.

-არა - ვპასუხობ მე და მთელი მონდომებით ვუსწრებ წინ.

-აი, ჩემი სკოლა. რამდენი მოგონება გვაკავშირებს ამ პატარა შენობასთან. ბავშვობა, პირველი მეგობრები, პირველი სიყვარული... გართობა, ცეკვა, სიმღერა, თამაში. სკოლიდან არც ისე მოშორებით, ჩემი სახლი ჩანს. სინათლე ანთია, ეზოს სინათლეც... როგორ მიყვარს ეს სახლი, ეს სინათლე... არასდროს ჩამიქრო, ღმერთო! - ვევედრები ღმერთს..

ჭიშკრის ხმაური მასპინძელს მაშინვე ესმის, სამზარეულოს ფანჯრიდან დიასახლისმა გამოიხედა, მიხვდა სავარაუდო ღამის სტუმრებს, კარებისკენ გამორბის.

თქვენ გენაცვალოთ დედა! ეს რა საღამო დამიღამდა, გული მიგრძნობდა, გელოდით! -თითქოს ასი წლის უნახავები ვყავდეთ, ისე გვეხვევა და გულში გვიხუტებს მე და ზურიკოს. უსწრაფესად იშლება მაგიდა.

მამას სამი განსხვავებული ფერის ღვინო გამოაქვს. მის დაყენებულ ღვინოებს სულ სხვა გემო და ელფერი დაჰკრავს. სოფელს სძინავს. ჩვენ კი... ჩვენს მოლხენას და სიყვარულს საზღვარი არ აქვს. სიძე თამადობს, თავს არ ზოგავს, ლამაზი სიტყვებით ჰყვება სადღეგრძელოებს, არატრადიციულად, რაც განსაკუთრებით ხიბლავს ტრადიციულ, ყოფილ თამადას.

ოთხი ადამიანი, თითქოს ტოლნი, თითქოს სწორნი, ისე ვილხენთ, როგორც ათასი...

-აბა ფოქსტროტი! - და სიძემ სიდედრი გაიწვია საცეკვაოდ. დედაც სიხარულით დაჰყვა, გოგოსავით დაქრის... მე კი მამა მიწევს პარტნიორობას და ისე შესანიშნავად მიყოლიებს ცეკვაში, უცხოს პროფესიონალი მოცეკვავე ვეგონები... შემდეგ „პარტნიორებს“ ვცვლით... ბოლოს კი მე და ზურიკო ...

მოქანცვამდე მღერის ფირსაკრავი...

ბედნიერებაა...

შუაღამე ნელნელა ალიონისკენ მიიწევს. განშორება გვეძნელება, მაგრამ რას ვიზამთ. გარეთ გამოვდივართ. ცას ღრუბელი ნისლში გაუხვევია და უკვე თოვს. თეთრი მსხვილი ფანტელები ცვივა ციდან. დედა და მამა გვაცილებენ. ჩემი ჯელტმენი „მსხვერპლს იღებს“, თბილ ქურთუკს იხდის და მხრებს მითბუნებს.

-ჩემი სიკვდილი! დასველდები, გაცივდები, შვილო! - დედა თავის პატარა, მწვანე, თხელ შიფონის თავსაფარს სასწრაფოდ იხსნის და სიძეს მხრებზე ახვევს. ზურიკო არ უხერხულობს. ყურადღებას იფერებს და ხელზე ემთხვევა... გრძელ, შავ წამწამებზე თეთრი ფანტელები ეცემიან, მწვანე დიდრონი თვალებით სიყვარულს და ბედნიერებას ასხივებს ...

-როგორ მიყვარხართ, რომ იცოდეთ! ღმერთმა გამოგაცდევინოთ ეს სიყვარული თქვენს შვილებზე - ამბობს დედა.

-უკეთეს სიძეს არც ვინატრებდი! - ამატებს მამა - ზურიკო, შენნაირს, მხოლოდ...

ასე ვშორდებით ერთმანეთს...იგივე გზით ნელ-ნელა ვეშვებით. ჩუმად, ფეხაკრეფით, უხმაუროდ ვიპარებით სახლში, კვლავ ფანჯრიდან. ქვემოთ სართულზე ისევ სძინავთ და არავინ იცის ჩვენი ღამის ვოიაჟის შესახებ.

თენდება... თოვლი ფარავს ყველაფერს. სახლებს, ეზოებს, გზებს.. და ჩვენს ნაფეხურებსაც ფანჯრის რაფასთან...

...

ეს, უკანასკნელი, ერთად ყოფნისა და ,,სიყვარულის საღამო“ იყო, თურმე... მას მერე დედა აღარ მინახავს...

...

ამ დილით, სოფლის ძველებური კარადიდან, შიფონის მწვანე თავსაფარი გადმოვარდა... საგანგებოდ, ლამაზად დაკეცილი მწვანე თავსაფარი... ჩვენ ორივემ თვალი მოვარიდეთ... თავსაფარსაც... ერთმანეთსაც...

თურმე ქვეყნად სიყვარულიც, სიყვარულიც მოსასწრებია..

2017 წ. / ნოემბერი /.

მე შენ გიპოვე...

მაისის წვიმა მოაწყდა ქალაქს. მოულოდნელად დაესხა თავზე დამტვერილ ფიჭვებს. მტვერი სივრცეს მოედო, გაიფანტა. წვიმამ დაჯაბნა, დააცხრო და ცოტა ხანში მწვანე ტბორებად მოავლო ქუჩებს.

არ შემიძლია, ადვილად ვერ ვუძლებ მაისს. მგონია ხელახლა ვიბადები, ეიფორიაში ვარ და ისე ვტირი, როგორც ახალშობილი ბავშვი. ან როგორ შეიძლება ჩვეულებრივი თვალით ვუცქირო ბუნების ხელახალ გაცოცხლება - აყვავება -ამწვანებას !

თრიალეთის მთის წვერზე ისევ თოვლი დევს. უფრო დაბლა მწვანე ლურჯში გადადის, კიდევ დაბლა სალათისფერი ხასხასა ბორცვები ჩაკვრიან ფერდობებს, კიდევ უფრო ქვემოთ კი, ხავსისფერი მდელოები თეთრ გვირილებს მოუქარგ -მოუხატავთ. ჭალაში ყვავის ყველა ფერი: წითელი, ყვითელი, თეთრი, იასამნისფერი, ვარდისფერი - ათასი, ათასი, ათასი ფერი !

-აწყურის ხატს მოაბრძანებენო - შემომძახა მეზობელმა.

თაბრუ მეხვევა, მაგრამ მაინც მივდივარ. რამდენი ხანია ტაძრის კარი არ შემიღია. მრცხვენია ღმერთის, მრცხვენია მოძღვრის, ჩემი თავის კი ყველაზე მეტად მრცხვენია.

მედავითნე ლოცვებს კითხულობს. ვუყურებ ხატებს და ვფიქრობ, როგორი ცოდვილი ვარ. ნუთუ კიდევ მაპატიებს უფალი ულოცველობას, წირვაზე წაუსვლელობას, უმარხულობას და ვინ იცის, რამდენ ცოდვას, ჩადენილს ნებსით თუ უნებლიეთ.

ვდგავარ მორიდებით, დამძიმებული.

ტაძარში ახალგაზრდა ბიჭი შემოვიდა. ანალოგიაზე დაბრძანებულ ხატს ემთხვია, მობრუნდა, დამინახა, სწრაფი ნაბიჯით ჩემკენ გამოიქცა და ჩამეხუტა. ერთ-ერთი ჩემი აღზრდილი იყო. რა თბილად ჩამეხუტა! მახსოვს, ძალიან პატარა ბზის ტოტებიდან ჯვრებს თლიდა და მჩუქნიდა...

როგორ მიყვარს...

გარშემო მოვავლე თვალი. ჩოხოსნები, მგალობელთა გუნდი, სტიქაროსნები, მრევლი... უმეტესობას ვიცნობ...

როგორ მიყვარან...

ის, ის, ის ...

გვერდით მეგობრები მიდგანან. ერთს ჩემი ხელი აქვს ჩახუტებული, მეორე კი დიდ კელაპტარს მჩუქნის, რომ ავანთო.

როგორ მიყვარან...

ჩემი მოძღვრის გალობის ხმა ჩამესმის... „მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო“... რა ლამაზი ხმაა... გაუბზარავი... ტკბილი... მშობლიური...

როგორ მიყვარს...

უცებ კითხვა დამებადა - არის ვინმე, ისეთი, ვინც არ მიყვარს?! - ისევ გონება გამეფანტა, ლოცვებს ვერ ვუსმენ... - არის ასეთი ვინმე?! ვერ მოვიგონე. თვალები დავხუჭე და გადავავლე ჩემს ნაცნობ-უცნობებს, მეგობრებს, ახლობლებს...

როგორ მიყვარან... როგორ მიყვარან...

საიდან იტევს გული, ეს პატარა, ერთი ციცქნა გული ამდენ სიყვარულს, რომ არ სკდება! მამას სიტყვები მომაგონდა, „გული ადამიანის პატარა, საიდუმლო ოთახია, სადაც ყველაფერია შენახული, რაც კი გჭირდება“. მე? მე რა მაქვს შენახული? სიყვარული, სიყვარული მაქვს შენახული. ოჯახის, ადამიანების, ქვეყნის, მიწის, ბალახის, ყვავილების, სამყაროს სიყვარული... ფრინველთა თუ ცხოველთა... სიცოცხლის, სიცოცხლის სიყვარული...

ისევ ღმერთისკენ გამექცა გული. ნეტავ, მაპატიებს?

– მაპატიებ? – და იმდენად დიდი იმედით ავიხედე ტაძრის გუმბათისაკენ, შეუძლებელი იყო, არ დავენახე...

უცებ ვიგრძენი, რომ ის, იქ, მაღლა კი არა, ცაში კი არა, ღრუბლებში კი არა... აქ... ჩემთან, სულ ახლოს იყო... იმდენად ახლოს, რომ ხმაც კი მესმოდა... მე კი, სად აღარ ვეძებდი!..

- სად არ გეძებდი, უფალო! შენ კი ჩემს გ უ ლ შ ი ყოფილხარ!.. სიყვარულის სახელით!.. იმედი, იმედი მომეცა თანანადებთა ჩემთა პატიების, მოტევების იმედი... რადგან შენ ხომ სიყვარული ხარ და ჩემთან ხარ, უფალო ... **მე შენ გიპოვე... !**

„ შენ ხარ გზაჲ და შენ ხარ ჭეშმარიტებაჲ და ცხოვრებაჲ''...

...და შენი სახელია ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი !

- მე გიპოვე შენ, უ ფ ა ლ ო!

2017 წ.

ვივლი და ვივლი...

მინდა ვიარო, მზეს შევეხო პატარა ხელით,
მთვარე მოვძებნო, უკუნეთი გავამზიანო,
დაცემულიც კი წამოვდგები ასჯერ ძლიერი,
ვერ შემომბედონ - უძლური ხარ ადამიანო!
კვლავ ისევ ვივლი... უსასრულოდ... კვლავ ისევ დავწერ...
ათასჯერ ნამღერს, მე ჩემი ხმით გავახმიანებ,
მთებს გადავივლი, მზეს შევწვდები პატარა ხელით,
წამოვიღებ და სულს გავუთბობ ადამიანებს!
...
ვივლი და ვივლი... უსასრულოდ...
დავწერ და დავწერ...